# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 20 ნოემბერი 2007 №269 (3192)

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო VS РОССИЯ

## მოდით სტადიონზე და გჯეროდეთ ჩვენ შეგვიძლია რუსეთის დამარცხება!



**პეტარ სეგრტი:**
მშვენივრად ვიცი, რამდენს ნიშნავს რუსეთთან თამაში. ხორვატი ვარ, ჩემი ქვეყანაც იბრძოდა თავისუფლებისთვის და დემოკრატიისთვის... რუსებს აქამდე გოლი არ გაუშვიათ? ჩვენ გავუტანთ!

**ბორის სტუკალოვი:**
მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ქართველებს ქულებით ვუსწრებთ, ნურავინ იფიქრებს, რომ ადვილი თამაში გვექნება. დარწმუნებული ვარ, ქართველები დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევენ...









# სად არის იღბალი...

## შემორიგებული გოგიტა გოგუა ტრავმამ შინ გააბრუნა

გუშინ, „ეროვნულზე“: ექიმის ხელში ჩავარდნილი გოგიტა გოგუა ლევან ცქიტიშვილმა და კლაუს ტოპმიოლერმა გაამხნევეს



# ჩვენ ეს შეგვიძლია!

## პეტარ სეგრტმა თამაში კაბინეტიდან დაიწყო

„მშვენივრად ვიცი, რამდენს ნიშნავს საქართველო — რუსეთის თამაში. ხორვატი ვარ, ჩემი ქვეყანა წლობით იბრძოდა თავისუფლებისთვის და დემოკრატისთვის და მიაღწია კიდეც. ამიტომაც გთხოვთ ყველას, ხვალინდელ მატჩში მხურვალედ გვიქომაგეთ, თქვენი იმედი მაქვს" — ამ სიტყვებით დაამთავრა გუშინდელი პრესკონფერენცია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა პეტარ სეგრტმა.

რუსეთთან გაჯიბრება ხორვატი მწვრთნელისთვის (ივო შუშაკი) ერთხელ უკვე იყო და კარგად დავცაადეთ. ხვალ კი, ძალიან ძნელი იქნება იგივეს გამეორება, რადგან საქართველოს 5 მატჩში ოდენ სამი ქულა აქვს, რუსეთმა კი ოთხიდან ოთხივე მოიგო და თან, გოლიც არ გაუშვია. პლუს, ჩვენებს საკმაოდ შეთხელებული შემადგენლობა ჰყავთ.

სეგრტი თითქმის დარწმუნებულია რუსების წაქცევაში.

„რუსებს აქამდე გოლი არ გაუშვიათ? ჩვენ გავუტანთ და არ გავუშვებთ. ეს მარტივი არითმეტიკაა" — კარგია, როცა მწვრთნელი ასე თავდაჯერებულია, მაგრამ, შესაძლოა, სეგრტი ასეთ განცხადებებს ფეხბურთელთა გასამხნევებლადაც აკეთებს...

— როგორც იცით, 12 ნოემბრიდან ტრაპიზონში გავდიოდით შეკრებას. გეტყვით, რომ ბოლო დროს გუნდი შეგვეცვალა — ზოგი ტრავმებმა შეაწუხა, 7 ფეხბურთელი კი ეროვნულ ნაკრებშია გამოძახებული. მილოცვები მივიღე გერმანიიდან, ავსტრიიდან, საფრანგეთიდან, თვით რობერტო დონადონის თანაშემწისგან — მათ იციან, რამდენი ახალგაზრდა ფეხბურთელი დაწინაურდა ეროვნულ ნაკრებში და ამას გვილოცავენ, თუმც ეს საქმე მხოლოდ მე არ გამიკეთებია: ჭაბუკების წამოწევაში დიდი წვლილი მიუძღვის კლაუს ტოპმიოლერს და 17 და 19-წლამდელთა მწვრთნელებს.

— იმედიანად ხართ, თუმცა ბევრი ფეხბურთელი გაკლიათ...

— ტრავმების გამო 7 ფეხბურთელი დაგვაკლდება, ესე იგი, მთლიანობაში 14 კაცი გვაკლია. თუმც ჩვენ მოსაგებად გავალთ მინდორზე და მოვიგებთ. ჩვენი ბიჭები ჯერ არ არიან იმ დონის, 10 თამაში ერთ დონეზე ჩაატარონ. ამიტომაც მუდმივად სჭირდებათ გამოცდილი ფეხბურთელების გვერდით ყოფნა. კალაძის, ხიზანიშვილის, ასათიანის, კობიაშვილის და სხვების მხარდამხარ ბევრს ისწავლიან. კლაუსმა ნამდვილად იცის, როდის და სად უნდა აიყვანოს ახალგაზრდა მოთამაშე, უდიდესი ალღო აქვს...

...და კიდევ, ხვალ ბევრი გულშემატკივარი მჭირდება სტადიონზე, სწორედ ამის წყალობით იყო, ესპანეთთან მშვენიერი ფეხბურთი რომ ვითამაშეთ. შესაძლოა, ჩემს გუნდს საბავშვო ბაღი ჰქვია, რადგან მეტისმეტად ახალგაზრდულია, მაგრამ გჯეროდეთ, მათ რუსების დამარცხება შეუძლიათ!

**ილია ნანობაშვილი**

# იყვირეთ ისე, რომ გაიგოს მთელმა უბანმა!

რუსეთის 21-წლამდელთა ნაკრებმა „მიხეილ მესხზე" 18 საათზე დაიწყო ვარჯიში. თავიდან მეკარეები ცალკე გავიდნენ, დანარჩენები კი ორად გაიყვნენ და პატარა მონაკვეთზე ორშეხებიანი ორკარას შემდეგ კარშიც ურტყეს.

და მინდორი? მომწვანო-მოყვითალო-მოყავისფრო — ძალიან ცუდ დღეშია ვაკის სტადიონის საფარი.

რუსთა რომელიმე გამორჩეულ ფეხბურთელთან გასაუბრება კი გვინდოდა, მაგრამ მწვრთნელმა ბორის სტუკალოვმა იუარა, მხოლოდ ხვალ, თამაშის შემდეგო.

მერე ქართველთა ვარჯიშიც დაიწყო, მანამდე კი პეტარ სეგრტი საკმაო ხანს ესაუბრა „ამერის" ფორვარდ რატი წინამძღვრიშვილს. ამხნევებდა, ბევრი ვიცი, ასეთი ტრავმის შემდეგ უფრო უკეთ ათამაშებულაო.

ჰო, რუსების ორი ფეხბურთელი ქართველთა ვარჯიშის სანახავადაც შემოვიდა მოედანზე, გაფაციცებით აკვირდებოდნენ ფეხბურთელებს და მერე გვკითხეს, მათე ღვინიანიძე სად არისო. რომ მივახედეთ, გაუხარდათ, ხვალ შევხვდებითო და წავიდნენ. ცხადია, მოსკოვის „ლოკომოტივიდან" იცნობდნენ, მათე ხომ „მიუნხენ 1860"-მდე მოსკოველ რკინიგზელებში თამაშობდა.

სეგრტის ვარჯიში კი ტაქტიკაზე იყო გათვლილი: პრესინგზე და ფლანგიდან ფლანგზე გადაწყობაზე ავარჯიშა გუნდი, თანაც, მუდმივად უჩიჩინებდა ბიჭებს, ერთმანეთს ელაპარაკეთ, დაუძახეთო. ეგ კი არა, მეკარეებს, რევაზ თევდორაძესა და გიორგი ლორიას უთხრა, გამოსვლისას ისე დაიყვირეთ, სახლში რომ გაიგონონო.

„კარგი, ნიჭიერი ბიჭები არიან, მაგრამ ბევრი სწავლა სჭირდებათ. ისეთი რამეები არ იციან, რაც წესით, უკვე უნდა იცოდნენ" — ამბობდა სეგრტი.

თითქმის მთელი ვარჯიში 20-25-მეტრიან მონაკვეთზე ორკარა იყო.

„განწყობა, კონცენტრაცია" — ყვიროდა სეგრტი და ყოველი გოლის გატანაზე, გაცუდებულ პასზე ან მომენტზე ემოციებს გამოხატავდა.

თერთმეტივე არ ვიცით, მაგრამ სადღეისოდ ძირითადის 9 ფეხბურთელის გამოცნობა იოლია: ლორია, ლობჟანიძე, ღვინიანიძე, ელბაქიძე, ხიდეშელი, ბჟალავა, კლიმიაშვილი, კობახიძე, გოცირიძე...

**ილია ნანობაშვილი**

# ბორის სტუკალოვი დიდი ადამიანების სასაფლაოზე

გუშინ დილით, სანამ პრესკონფერენციასა და ვარჯიშს ჩაატარებდა, რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ბორის სტუკალოვი საბურთალოს სასაფლაოზე მივიდა...



მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი და ნოდარ ახალკაცი ის დიდი ფეხბურთელები და ადამიანები იყვნენ, თბილისში ჩამოსვლისას მათ საფლავებზე არ მისულიყავი, უფლება არ მქონდაო — გვითხრა სტუკალოვმა.

**ნუკრი ლოლაძე**

### გულშემატკივართა საყურადღებოდ!

**საქართველო — ლიტვა. 21 ნოემბერი**

საქართველოსა და ლიტვის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრაზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სალაროებში დაიწყება ორშაბათს, 19 ნოემბერს, დილის 11 საათიდან.

ორშაბათს და სამშაბათს სალაროები იმუშავებს 18 საათამდე, ხოლო ოთხშაბათს, მატჩის დღეს, დილის 11 საათიდან 19.30 საათამდე.

ბილეთების ფასია 5, 10 და 20 ლარი.

თამაშის დღეს სტადიონზე შესასვლელი კარები 17 საათიდან გაიღება.

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე შეხვედრა 19.30 საათზე დაიწყება.

**საქართველო — რუსეთი. ახალგაზრდულები. 20 ნოემბერი**

საქართველოს და რუსეთის 21-წლამდელ ნაკრებთა მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სალაროებში 20 ნოემბერს, დილის 11 საათიდან 19 საათამდე.

ბილეთის ფასია 2-5 ლარი

მიხეილ მესხის სტადიონზე შეხვედრა 19 საათზე იწყება.

გულშემატკივრებს მოვუწოდებთ, ყურადღებით გაეცნონ ორივე მატჩის ბილეთების უკანა მხარეზე დაბეჭდილ წესებს და მკაცრად დაიცვან ისინი!

# ყველაფერს აქვს საზღვარი: აღარ ჩავკეტოთ საზღვარი!



დღეს საქართველო — რუსეთია, გუშინ კი ჩვენი მეტოქის მთავარმა მწვრთნელმა ბორის სტუკალოვმა პრესკონფერენცია გამართა...

ბორის სტუკალოვი: ბედნიერი ვარ საქართველოში სტუმრობით. ქართველი ფეხბურთელების თამაში ყოველთვის მხიბლავდა...

...მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ქართველებს ქულებით ვუსწრებთ, ნურავინ იფიქრებს, რომ ადვილი თამაში გვექნება. დარწმუნებული ვარ, ქართველები, დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევენ...

...საბედნიეროდ, ტრავმირებულები და დისკვალიფიცირებულები არ გვყავს, რასაც ვერ ვიტყვი მეტოქეზე...

...რუსეთის საფეხბურთო კავშირმა დაგვისახა მიზანი — ევროპის ჩემპიონატზე თამაში და ეს უნდა მოვახერხოთ. პოლიტიკა არის პოლიტიკა, ფეხბურთი კი სპორტია და ამის პოლიტიზირება არ შეიძლება. მინდა, რომ კარგი თამაში გამოვიდეს...

...ძალიან მიკვირს, ჩვენ აქ თურქეთიდან რატომ უნდა ჩამოვდიოდეთ და რატომ ჩაიკეტა ჩვენი საზღვრები. პოლიტიკოსებმა კეთილგონიერება უნდა გამოიჩინონ და, როგორც ადრე იყო, ისეთივე ურთიერთობა აღვადგინოთ ქვეყნებს შორის.

**ნუკრი ლოლაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:0 | 12 |
| რუსეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:0 | 12 |
| პოლონეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:8 | 6 |
| ყაზახეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 5:11 | 3 |
| საქართველო | 5 | 1 | 0 | 4 | 4:13 | 3 |

### ინგლისი

ასოციაციის თასი

1 ეტაპი. გადათამაშება

**სტეინს თაუნი — სტოკპორტი** გადაიდო

SLOT POKER CLUB VEGA

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT


ალექსანდრე კვახაძე და დავით სირაძე


გოგიტა გოგუა

# მოსალოდნელია ცვალებადობა გოგუას თამაში გამოირიცხა!

**ხვალინდელი** დღეც და, ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპი დასრულდება. ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად საქართველოს ნაკრებისთვის ეს შესარჩევი კარგა ხნის დასრულებულია, თუმც ლიტველებთან მატჩს თავისი დატვირთვა აქვს — მეხუთე ადგილი ჯგუფში.

ნაკრებმა დოჰადან დაბრუნების შემდეგ დაისვენა და ლიტველებთან სამზადისი გუშინ დაიწყო. სამივე დაშავებული — ზურაბ მენთეშაშვილი, დავით სირაძე და გოგიტა გოგუა — გუნდს შეუერთდა, თუმცა გოგუამ გუშინ ისევ იტკინა ფეხი, თან ისე, რომ ბალტიისპირელებთან მისი თამაში გამოირიცხა.

ვარჯიში მსუბუქი მოთელვით და გახურებით დაიწყო, შემდეგ ტოპმიოლერმა გუნდი გაყო და მოედნის მეოთხედზე კვადრატი ათამაშა. სწორედ ამ დროს დაშავდა გოგუა.

ყატართან მატჩის შემდეგ მწვრთნელი რამდენიმე ცვლილების გეგმავს — ძირითადში იქნება სირაძე. მისი გამოჩენა ალბათ ამოაგდებს ამირან სანაიას, რომლის პოზიციაზეც დავით კვირკველიას დაიწევს, ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგს კი ლევან მჭედლიძე ჩაიბარებს. სავარაუდოდ, ძირითადში იქნება ყატარელთა კარში გამარჯვების გოლის გამტანი ლაშა სალუქვაძეც. მენთეშაშვილის გამოჯანმრთელებით ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე ალბათ ადგილს დაკარგავს შოთა გრიგალაშვილი. დანარჩენები კი არ შეიცვლებიან — კალაძე-ასათიანი დაცვის ცენტრში, საყრდენებად ცქიტიშვილ-კანკავას დუეტი, მათ წინ კი ლევან ყენია. ტოპმიოლერის საფიქრალი მხოლოდ მეკარეა. მართალია, გიორგი მაკარიძე ტოპის ფავორიტია, მაგრამ გუშინ როინ კვასხვაძემაც არანაკლებ წარმოაჩინა თავი.

ტოპმიოლერმა ფეხბურთელებს რამდენიმე დავალება მისცა და კომბინაციების დახვეწაზე ავარჯიშა. შეტევებს კი ძირითადად კანკავა და ცქიტიშვილი იწყებდნენ...

ვარჯიში ორკარათი დასრულდა, რომელიც სათადარიგოებმა 2:1 მოიგეს. გოლები გიორგი დეკანოსიძემ და ნიკა გელაშვილმა გაიტანეს, ძირითადებიდან კი სირაძემ.

ვარჯიშის შემდეგ სწორედ სირაძეს გავესაუბრეთ...

**— ტრავმა მოიშუშე?**

— კი. ტკივილები აღარ მაწუხებს. გაცდენილი დრო უახლოეს დღეებში უნდა ავანაზღაურო. ისე კი, სათამაშოდ მზად ვარ.

**— ლიტვამ სამი დღის წინ უკრაინას 2:0 მოუგო, იოლად დასამარცხებელი მეტოქე არ ჩანს...**

— ვერ ვიტყვი, რომ სუსტი მეტოქე გვყავს, თუმც დაუმარცხებელი არ არის. ვეცდებით, ჩვენი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვიყენოთ და გავიმარჯვოთ. შოტლანდიასთან და ყატართან მოგებებმა რწმენა შეგვმატა და მოსაგებად ყველაფერს გავიღებთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლოჟიდან გაშიფრული ლიტვა

**ლიტვის** ნაკრები თბილისში 16 საათზე ჩამოფრინდა და სასტუმრო „ბატესტაში" დაბინავდა, ვარჯიში კი საღამოს რუსთავში ჰქონდა.

ძუნძული, კომბინაციების დამუშავება და ნახევარ მოედანზე ორკარა — ვარჯიშის უმეტესი დრო ამან წაიღო.

ლიტველთა მთავარ მწვრთნელ ალგიმანტას ლიუბინსკასზე რუსთაველმა მოედანმა კარგი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა და ჟურნალისტებს გვკითხა, „ეროვნულზეც" ასეთი იქნებაო?

მიზეზთა გამო ლიუბინსკასმა ოთხი ფეხბურთელი მოისაკლისა — დანილავიჩიუსი, პოპეცკისი, კლიმავიჩიუსი, ბუტრემავიჩიუსი. ვარჯიშს თვალყური ადევნა კლაუს ტოპმიოლერის ძმამ ჰაინცმა, თუმც სტუმრებს არ დაენახვა — ლოჟიდან უთვალთვალებდა.

ლიტველთა თავკაცმა ჟურნალისტთა რამდენიმე კითხვასაც უპასუხა: „საქართველო საფეხბურთო ქვეყანაა და კარგი ნაკრებიც ჰყავს. შოტლანდიელებთან მატჩი ვნახე. ყატართან შეხვედრის ფირს კი, თუ მოგვაწვდიან, ჩვენ უკრაინელებთან მატჩის ფირს გადავცემთ. შანსები რა გითხრათ — ქართველები მასპინძლები არიან და თავისას ეცდებიან, მაგრამ ჩვენც ბოლომდე ვითამაშებთ და ვნახოთ..."

**ნუცრი ლოლაძე**





# უნდა მოვიგოთ!
## დავით კვირკველიას სხვა შედეგი არ აინტერესებს



საქართველო — ლიტვის თამაშში ბევრი იქნება დამოკიდებული მარცხენაფლანგელ დავით კვირკველიაზე. ზაპოროჟიეს „მეტალურგის" ფეხბურთელს შეტევებში ჩართვა ევალება და ტოპმიოლერის დავალებით, ის შეასრულებს ლიტველთა კარის სიახლოვეს დანიშნულ ყველა ის სტანდარტული მდგომარეობას. კვირკველიას გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ ვესაუბრეთ...

— ყატართან მატჩით კმაყოფილები ვართ, მარტო შედეგით კი არა, ხარისხითაც. ძნელი შეხვედრა რომ იქნებოდა, ვგრძნობდით, მაგრამ იქაურმა კლიმატმა კიდევ უფრო გაგვირთულა ყველაფერი, თუმც მთლიანობაში კარგად ვითამაშეთ. თავიდანვე ვფლობდით უპირატესობას. მჭედლიძეს პირველივე წუთებზე თავისი შანსი რომ გამოეყენებინა, გაცილებით იოლად ვითამაშებდით, მაგრამ მთავარია, მაინც მოვიგეთ.

**— მატჩისთვის როგორ ემზადებით, გუნდში რა განწყობაა?**

— ლიტვასთან იქნება თუ ყატართან, ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს — უნდა მოვიგოთ! ეს შეხვედრა ბოლოა ამ სეზონში და გვინდა, გამარჯვებით დავასრულოთ, თანაც შოტლანდიასთან მოგების შემდეგ გუნდში შესანიშნავი განწყობაა...

**— და მაინც, ლიტვასთან მოგება აუცილებელია...**

— წინასწარ არავინ იცის, რა მოხდება. თუ საკუთარი თავის იმედი გვექნება, მნიშვნელოვანი აღარ არის, რომელ კალათში მოვხვდებით. ახლა მთავარია, ლიტვასთან მოვიგოთ...

**— უკრაინული ამბები როგორ არის? პრესა წერდა, შესაძლოა, კვირკველიამ გუნდი გამოიცვალოსო...**

— ასეთი ჯერ არაფერია. „მეტალურგთან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ფეხბურთი და ტელევიზორი

**საქართველო** — რუსეთი და საქართველო — ლიტვა: დღესხვალ ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებების თამაშებით წლევანდელი ევროსეზონი ოფიციალურად მთავრდება. ერთადერთი მატჩი, რომელიც ახალგაზრდულ ნაკრებს, უფრო სწორად, 20-წლამდელთა ნაკრებს დარჩა, ლუქსემბურგელ თანატოლებთან ამხანაგური თამაშია, რომელიც 12 დეკემბერს გაიმართება. ამ მატჩის ნახვა ქართველ ქომაგს გაუჭირდება, სამაგიეროდ, მათ, ვინც სტადიონზე ვერ მივა, შეუძლია, დღევანდელი და ხვალინდელი შეხვედრები ტელევიზიით იხილოს.

საქართველო — რუსეთს დღეს, 19 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებელი პირდაპირ ეთერში შემოგთავაზებთ, პირდაპირ ეთერში გადაიცემა საქართველო — ლიტვაც, რომელსაც ხვალ, 19.30 საათზე ტელეკომპანია „რუსთავი 2" აჩვენებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### ევრო 2008: საქართველო — ლიტვა
### ფან-კლუბის წევრთა საყურადღებოდ

ოთხშაბათს, 21 ნოემბერს საქართველოს ეროვნული ნაკრები ლიტვის ნაკრებთან მატჩით ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს დაასრულებს. თამაში ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 19.30 საათზე დაიწყება.

მატჩზე დასასწრები ბილეთების მისაღებად, საქართველოს ეროვნული ნაკრების ფან-კლუბის წევრებმა უნდა მიმართონ ფან-კლუბის ოფისს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე.

ბილეთების გაცემა დღეს, 12 საათიდან დაიწყება.

21 ნოემბერს, ბილეთები მხოლოდ 15 საათამდე გაიცემა.

*სფფ-ის პრესცენტრი*

# არველაძე და კლაუსურები

## ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ!

## ქართული გერმანულად



**დიდი** საფეხბურთო მიღწევებისა და ტრადიციების ქვეყნებში, როცა კი ახალგაზრდას ეროვნულ გუნდში უხმობენ, ჟურნალისტები მისი სადებიუტო ასაკის აღნიშვნისას წლებს და თვეებს კი არა, ლამის საათებსაც უთვლიან. საამისო ყველაზე კარგი მაგალითი ინგლისია... მართალია, საქართველოს ნაკრებს ინგლისისამდე ბევრი უკლია და არც იმხელა ისტორია გააჩნია, თუმცა ჩვენი ეროვნული გუნდი უკვე 15 წლისაა და თავისი წილი ისტორია მასაც აქვს...

წინა პარასკევს საქართველომ ყატარში ამხანაგური მატჩი ჩაატარა და კლაუს ტოპმიოლერმა იქ კიდევ ერთი ჭაბუკი — ამირან სანაია პირველად ათამაშა. ჰოდა, სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ დაგვებადა აზრი, სანაკრებო დებიუტებისთვის გადაგვეხედა და გარკვეული ტენდენციაც გამოგვეკვეთა.

აქ ორ ნუსხას გთავაზობთ. ერთი აღნიშნავს, თუ როგორ ახალგაზრდავდებოდა სანაკრებო დებიუტის ასაკი, ხოლო მეორეში საქართველოს ნაკრების 20 ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტია ჩამოთვლილი.

ფეხბურთელთა სანაკრებო დებიუტის ათვლა-დათვლა, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების იმ პირველი მატჩიდან დავიწყეთ, რომელიც გუნდმა ფიფა-უეფაში გაწევრიანების შემდეგ გამართა. ეს მატჩი 1992 წლის 2 სექტემბრის ლიტვა — საქართველო გახლდათ და შემადგენლობაში ყველაზე უმცროსი 19 წლის, 6 თვის და 13 დღის შოთა არველაძე იყო.

შოთადან დაწყებული, ნაკრებში დებიუტის ასაკი შვიდმა ფეხბურთელმა შეამცირა და დღეს ეს რეკორდი 16 წლის, 10 თვისა და 20 დღის ლევან ყენიას ეკუთვნის, ვინც ეროვნულ გუნდში პირველად 2007 წლის 8 სექტემბერს თბილისში, უკრაინასთან გამოჩნდა. შოთას რეკორდი კი 15 დღეში გიორგი ქინქლაძემ გააუმჯობესა, მისი ლევან ცქიტიშვილმა... შემდეგ კი შეიძლება დაიბნეთ და განგიმარტავთ: 18 წლის ოთარ ხიზანეიშვილსა და 17 წლის ზურაბ ხიზანიშვილს დებიუტი იოჰან ბოსკამპის მწვრთნელობისას საბერძნეთთან მატჩისას ჰქონდათ, თუმცა რეკორდებში ხიზანიშვილზე წინ ხიზანეიშვილია. საქმე ისაა, რომ ხიზანეიშვილმა ის მატჩი ძირითად შემადგენლობაში დაიწყო, ხიზანიშვილი კი 65-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა.

ხიზანეიშვილის რეკორდმა სულ 65 წუთი გაძლო, რაც ხიზანიშვილმა მოხსნა და ამის შემდეგ ექვსი წელი, ვიდრე ნაკრები გაიოზ დარსაძეს არ ჩააბარეს, ეროვნულში ხიზანიშვილზე უმცროსს აღარ უთამაშია.

ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნუსხაში, ვფიქრობთ, ყველაფერი გასაგებია. 20-კაციან სიას ლევან ყენია იწყებს და ალექსანდრე იაშვილი ამთავრებს, რომლის სანაკრებო დებიუტიც ლიბანში, 1996 წლის 5 აგვისტოს ვლადიმერ გუცაევის ხელში შედგა. იაშვილი 19 წლის, 1 თვის და 13 დღის იყო. ლიბანში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ითამაშა, თუმცა სტატუსი ეროვნულისა ჰქონდა. რამდენიმე თვეში გუცაევმა ეროვნულიც ჩაიბარა. იაშვილის გარდა კი ლიბანში დებიუტი ჰქონდათ 19 წლისა და 25 დღის მიხეილ აშვეთიას და 19 წლისა და 26 დღის გოგა გახოკიძეს. სხვათა შორის, ამ 20-კაციან სიაში გახოკიძე ერთადერთია, ვინც ფეხბურთს უკვე შეეშვა, მიზეზი — ქრონიკული ტრავმა.

20 ახალგაზრდა ფეხბურთელიდან 8 ეროვნულ გუნდში პირველად კლაუს ტოპმიოლერმა გამოიძახა. ამათგან ალექსი ბენაშვილი, მირზა ბჟალავა, კახა მახარაძე და დავით მჭედლიშვილი მალტის ტურნირზე საექსპერიმენტოდ ათამაშა და მას შემდეგ მათთვის აღარ დაუძახია. ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე, გიორგი მაკარიძე და ამირან სანაია კი შეგვიძლია, ნაკრების წევრებად ჩავთვალოთ. ტოპმიოლერმა ეს ოთხეული ამ ბოლო დროს გამოიძახა და ამისკენ მას შექმნილმა ვითარებამ, ანუ წარუმატებელმა შესარჩევმა ციკლმა, საკადრო დეფიციტმა და თითქმის გარანტირებული ახალი კონტრაქტის პირობებში სამომავლო გუნდის შენების პერსპექტივამ გადააწყვეტინა.

ოთხმა ჭაბუკმა ეროვნულის მაისურა პირველად გაიოზ დარსაძის მწვრთნელობისას მოირგო. გიორგი განუგრავას, ბექა გოცირიძეს, რატი წინამძღვრიშვილსა და ნუკრი რევიშვილს დებიუტი დარსაძის დროს ჰქონდათ. ამათგან დღეს ერთი უგუნდოდაა, მეორე კლუბში სტაბილურად ვერ თამაშობს, მესამე აშკარად „მოთხოვნადია“, ოღონდ ტრავმირებულია, ხოლო მეოთხე ამას წინათ ავარიაში მოჰყვა. ცხადია, მთელი საფეხბურთო გზა ამ ფეხბურთელებს ჯერ წინ აქვთ, თუმცა თავის დროზე მათი ნაკრებში გამოძახება ეროვნული გუნდის მეტ-ნაკლებად ხელოვნურად გაახალგაზრდავების მცდელობად ჩაითვალა, რასაც არცთუ კარგი რეზონანსი მოჰყვა.

იოჰან ბოსკამპმა კი ნაკრებში ახალგაზრდებს პრინციპულად უხმო და ასევე პრინციპულად საწვრთნელი ბაზიდან მიაბრძანა ურჩი ზაზა ჯანაშია. „მისიანებიდან“ კი ახლა ზურაბ ხიზანიშვილი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია, ხოლო ოთარ ხიზანეიშვილი ფორმაში ვერ არის, მაგრამ მაინც ნაკრებისთვის სარგო ფეხბურთელია. ამათ გარდა, ბოსკამპმა მისთვის პირველსავე ოფიციალურ მატჩში, საბერძნეთთან ბადრი ახვლედიანიც ათამაშა, მაგრამ ის „გადაზრდილი“ ასაკის გამო ამ ნუსხაში ვერ მოხვდებოდა.

ალენ ჟირესმა ნაკრებში ერთადერთ ჭაბუკ დებიუტანტს უხმო და ის დღემდე სტაბილურად თამაშობს — ეს ჯაბა კანკავაა, ვინც თავისი პირველი მატჩისას 18 წლის, 5 თვისა და 21 დღის იყო. მისი დებიუტი 2004 წელს ალბანეთთან შედგა.

ვლადიმერ გუცაევზე და მის ლიბანურ დებიუტანტებზე უკვე ვთქვით. თავის დროზე გუცაევმაც მოინდომა ნაკრების რეფორმაცია, ოღონდ ამის საფუძველი ის იყო, რომ გუნდის გამოცდილ ფეხბურთელებთან პროფესიული თუ პიროვნული კონფლიქტები და პრეტენზიები ჰქონდა. ასევე ბევრმა ვერ გაამართლა სანაკრებო მოთხოვნები, იაშვილი და აშვეთია კი გუნდში სტაბილურად თამაშობდნენ, ხოლო გახოკიძემ, უკვე ვთქვით, თამაშს თავი დაანება.

კახა კალაძესა და დღესდღეობით ნაკრების ყველაზე „ბებერ“ წევრ ლევან ცქიტიშვილს დებიუტი ალექსანდრე ჩივაძისას ჰქონდათ. ჩივაძეს ნაკრების მწვრთნელად პირველად თუ მეორედ დანიშვნისასაც არ ჰქონდა საფუძველი და საჭიროება, ეროვნულში ჭაბუკები გამოეძახებინა — მას საიმედოოდ კარგი ასაკის და კვალიფიკაციის ფეხბურთელები ჰყავდა.

საინტერესოა, რომ ცხონებული დავით ყიფიანისა და რევაზ ძოძუაშვილის მწვრთნელობის პერიოდში ეროვნულში არც ერთი ისეთი ფეხბურთელი არ ყოფილა, რომლებიც ამ „ახალგაზრდულ“ ნუსხაში მოხვდებოდნენ, არადა, მაშინ გუნდში ძალიან ბევრი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა.

და კიდევ: ახალგაზრდა ფეხბურთელთა ამ ორ ნუსხას რომ ჩაიკითხავთ, ეროვნული გუნდის ყველაზე ახალგაზრდა მეგოლის ვინაობასაც შეიტყობთ — ეს იტალიური „ემპოლის“ ფორვარდი ლევან მჭედლიძეა. როცა შოტლანდიას გაუტანა, მჭედლიძე 17 წლის, 6 თვის და 24 დღის იყო...

შოთა არველაძეს პირველრეკორდსმენობას ველარავინ შეეცილება, ის ხელშეუხებელია. ლევან ყენიას კი... ნეტავ, ასე მოხდეს, მაგრამ „შეცვლა“ კარგა ხანი არ უწერია.

**კობა ინასარიძე**

### ყველა რეკორდი

| № | ფეხბურთელი | ასაკი | დებიუტი | თამაში |
|---|---|---|---|---|
| 1 | შოთა არველაძე | 19 წლის, 6 თვის, 13 დღის | 02.09.92 | ლიტვა 1:0 საქართველო |
| 2 | გიორგი ქინქლაძე | 19 წლის, 2 თვის, 11 დღის | 17.09.92 | საქართველო 6:3 აზერბაიჯანი |
| 3 | ლევან ცქიტიშვილი | 18 წლის, 7 თვის, 28 დღის | 07.06.95 | უელსი 0:1 საქართველო |
| 4 | ოთარ ხიზანეიშვილი | 18 წლის, 21 დღის | 05.06.99 | საქართველო 1:2 საბერძნეთი |
| 5 | ზურაბ ხიზანიშვილი | 17 წლის, 7 თვის, 30 დღის | 05.06.99 | საქართველო 1:2 საბერძნეთი |
| 6 | გიორგი განუგრავა | 17 წლის, 5 თვის, 24 დღის | 17.08.05 | დანია 6:1 საქართველო |
| 7 | ბექა გოცირიძე | 17 წლის, 1 თვის, 26 დღის | 12.10.05 | საბერძნეთი 1:0 საქართველო |
| 8 | ლევან ყენია | 16 წლის, 10 თვის, 20 დღის | 08.09.07 | საქართველო 1:1 უკრაინა |

### ყველა ახალგაზრდა

| № | ფეხბურთელი | ასაკი | დებიუტი | თამაში |
|---|---|---|---|---|
| 1 | ლევან ყენია | 16 წლის, 10 თვის, 20 დღის | 08.09.07 | საქართველო 1:1 უკრაინა |
| 2 | ბექა გოცირიძე | 17 წლის, 1 თვის, 26 დღის | 12.10.05 | საბერძნეთი 1:0 საქართველო |
| 3 | გიორგი მაკარიძე | 17 წლის, 5 თვის, 12 დღის | 12.09.07 | აზერბაიჯანი 1:1 საქართველო |
| 4 | გიორგი განუგრავა | 17 წლის, 5 თვის, 24 დღის | 17.08.05 | დანია 6:1 საქართველო |
| 5 | რატი წინამძღვრიშვილი | 17 წლის, 6 თვის, 17 დღის | 08.10.05 | საქართველო 0:0 ყაზახეთი |
| 6 | ლევან მჭედლიძე | 17 წლის, 6 თვის, 20 დღის | 13.10.07 | იტალია 2:0 საქართველო |
| 7 | ზურაბ ხიზანიშვილი | 17 წლის, 7 თვის, 30 დღის | 05.06.99 | საქართველო 1:2 საბერძნეთი |
| 8 | ალექსი ბენაშვილი | 17 წლის, 10 თვის, 18 დღის | 07.02.07 | საქართველო 1:0 თურქეთი |
| 9 | დავით მჭედლიშვილი | 17 წლის, 10 თვის, 28 დღის | 02.03.06 | მალტა 0:2 საქართველო |
| 10 | ოთარ ხიზანეიშვილი | 18 წლის, 21 დღის | 05.06.99 | საქართველო 1:2 საბერძნეთი |
| 11 | მირზა ბჟალავა | 18 წლის, 25 დღის | 02.03.06 | მალტა 0:2 საქართველო |
| 12 | კახა კალაძე | 18 წლის, 1 თვის | 27.03.96 | კვიპროსი 0:2 საქართველო |
| 13 | ამირან სანაია | 18 წლის, 2 თვის, 15 დღის | 17.11.07 | ყატარი 1:2 საქართველო |
| 14 | კახა მახარაძე | 18 წლის, 4 თვის, 10 დღის | 02.03.06 | მალტა 0:2 საქართველო |
| 15 | ჯაბა კანკავა | 18 წლის, 5 თვის, 21 დღის | 08.09.04 | საქართველო 2:0 ალბანეთი |
| 16 | ნუკრი რევიშვილი | 18 წლის, 7 თვის, 6 დღის | 08.10.05 | საქართველო 0:0 ყაზახეთი |
| 17 | ლევან ცქიტიშვილი | 18 წლის, 7 თვის, 28 დღის | 07.06.95 | უელსი 0:1 საქართველო |
| 18 | მიხეილ აშვეთია | 19 წლის, 25 დღის | 05.12.96 | ლიბანი 4:2 საქართველო |
| 19 | გიორგი გახოკიძე | 19 წლის, 26 დღის | 05.12.96 | ლიბანი 4:2 საქართველო |
| 20 | ალექსანდრე იაშვილი | 19 წლის, 1 თვის, 13 დღის | 05.12.96 | ლიბანი 4:2 საქართველო |



# ამხანაგური მატჩი



ამერელი რევაზ გოცირიძე (№31) დუბლით გამოირჩა

## რამდენი ქუსლი იყო გლდანში?

**თბილისურმა** კლუბებმა, „ამერმა“ და „მერანმა“ კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართეს და ამჯერადაც ფრეზე, 3:3-ზე გაეყარნენ ერთმანეთს. გეხსომებათ, რამდენიმე დღის წინ „ამერ“-„მერანი“ საგურამოში გაეჯიბრნენ ერთმანეთს და 0:0 ითამაშეს, გუშინდელი მატჩი კი გლდანში შედგა და უხვგოლიანიც გამოდგა.

ამერელებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და მე-6 წუთზე რევაზ გოცირიძემ ბაჩანა ცხადაძე-არჩილ ალავიძის კომბინაცია დაასრულა გოლით.

„მერანს“ განსაკუთრებული არაფერი შეუქმნია მეტოქის კართან, თუმცა 23-ე წუთზე სახიფათო ჯარიმით ისარგებლა — კალაძის ჩაწოდებულს ბაკურაძემ მოუძებნა სწორი გაგრძელება — 1:1.

ეს იყო და, უპირატესობა ისევ „ამერმა“ გადაიბარა, მაგრამ მომენტების გამოყენება „ყვითლებს“ აქილევსის სისუსტედ ექცათ და ამის გამო დაისაჯნენ კიდეც: მეორე ტაიმში ჯერ ბექა ელენტმა იყოჩაღა, მერე კი ტივლიძემ ულამაზესი დარტყმით გაზარდა ანგარიშში სხვაობა — 1:3.

თამაში ამხანაგური იყო, თუმცა დარჩენილ 20 წუთში მასპინძლებს ფეხი ფეხზე სულაც არ გადაუდიათ და მერანელთა კართანაც ხიფათმა იმატა.

აუცილებლად უნდა ვთქვათ დავით ეჯიბიშვილის ბიჭების მონდომებაზეც — ეჭვი არ არის, ეს გუნდი ეროვნულ ჩემპიონატში ბარე ორს გაამწარებს...

72-ე წუთზე გოცირიძის დუბლი და 89-ეზე გიორგი ვარდოსანიძის გასროლა — ამ ორი გოლით გადაურჩა „ამერი“ მარცხს, არადა, თითქოს გადასარჩენი საერთოდ არაფერი სჭირდა.

ასეთია ფეხბურთი...

**ამერი 3:3 მერანი**

1:0 გოცირიძე (6), 1:1 ბაკურაძე (23), 1:2 ელენტი (60), 1:3 ტივლიძე (70), 2:3 გოცირიძე (72), 3:3 ვარდოსანიძე (89)

ამერი: ქვაჩახია, კაკაშვილი, ხვადაგიანი (დიდავა, 46), ჩიკვილაძე, ჯელაძე (დოლიძე 46), დობროვოლსკი, მესხი (კობაური 46), ბოლქვაძე (ვარდოსანიძე 84), ა. ალავიძე (შალამბერიძე 46), ბ. ცხადაძე (ტატანაშვილი 46), რ. გოცირიძე

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

მერანი: სეფიაშვილი, კიკალიშვილი (ბ. ელენტი 46), ლ. გრიგალაშვილი, შველიძე, ა. კალაძე, ბაკურაძე (ჯომშა 61), ტყეშელაშვილი, ქემაშვილი (ზ. ავალიანი 73), ბურჯანაძე (ხუჭუა 46), ზ. ავალიანი (ტივლიძე 63), იაკობ დეისაძე

მწვრთნელი: დავით ეჯიბიშვილი

გაფრთხილება: ალავიძე (21), ჩიკვილაძე (37), შველიძე (39), გრიგალაშვილი (52), ქემაშვილი (56, 73)

გაძევება: ქემაშვილი (73)

მსაჯი: ოთარ ხეცაძე

**კახა შალამბერიძე**

## ჩიმაკაძის ბურთი


ბესიკ ჩიმაკაძის გუშინდელი ვარჯიში

### ...და მალე მოედანიც

**სასიამოვნო** ამბავი „ამერიდან“: 19 წლის თავდამსხმელმა ბესიკ ჩიმაკაძემ ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ბურთით ვარჯიში დაიწყო.

ჩიმაკაძე 4 ივნისს, ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩის წინა დღეს ვარჯიშზე დაშავდა, როცა დინამოელ მეკარე გიორგი ლორიას შეეჯახა, ფეხი სამ ადგილას მოიტეხა და საოპერაციო შეიქნა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და აგერ, ჩიმაკაძემ ძუნძულს და ტრენაჟორებზე ვარჯიშს ბურთიც მიუმატა. მართალია, მას დიდი დატვირთვები ჯერაც ეკრძალება, მაგრამ ალბათ არც ეს დღეა შორს და „ჩიმაკაც“ მალე დაუბრუნდება მოედანს...

**კახა შალამბერიძე**

## ვინ არის სატურნის უცნობი ქართველი?

**რამენსკოეს** „სატურნი“ შერეული შემადგენლობით თურქულ ბელეკშია შეკრებაზე. ეს ინფორმაცია ჩვენთვის არაფრისმთქმელია, მით უმეტეს, რომ სატურნელი გოგიტა გოგუა თბილისშია, საქართველოს ეროვნული ნაკრების შეკრებაზე, თუმცა...

როგორც შევიტყვეთ, „სატურნს“ თურქეთში ერთი ქართველი მაინც ახლავს — 18 წლის ფეხბურთელი, რომლის ვინაობა ვერსაიდან შევიტყვეთ, რუსულ კლუბთან ერთად ემზადება.

ვინ არის ეს ფეხბურთელი, რუსები რატომღაც არ ახმაურებენ და ვერც თბილისში მყოფმა გოგუამ გვითხრა რამე — წარმოდგენა არ მაქვს, ვინ არისო...

„სატურნის“ უფროსი მწვრთნელი ბორის იგნატიევი კი „მშრალი“ ფრაზით შემოიფარგლა: „შეკრებაზე გვყავს 18 წლის ფეხბურთელი საქართველოდან და ვნახავთ, როგორ წარმოაჩენს თავს“.

მოკლედ, ამის მეტი ვერაფერი მოვიძიეთ და იმედია, დღე-დღეზე უფრო მეტის თქმა შეგვეძლება...



## არზიანი უფრო წავა, ხოჯავა ვერსად წავა



**მახაჩყალის** „ანჟი“ ორი ქართველით, მიხეილ აშვეთიათი და ვალერი აბრამიძით კი შეივსო, მაგრამ დამხვდურ ქართველებს დაღესტნური კლუბის დატოვება უნდათ — ყოველ შემთხვევაში, იჯარით ნათხოვარი ზურაბ არზიანი გუნდიდან ნამდვილად წავა.

მოთხოვნაა გოჩა ხოჯავაზეც, ჩვენებური პრემიერლიგის რამდენიმე კლუბს სურს, თუმც „ანჟის“ მწვრთნელ ომარ თეთრაძეს არ ეთმობა, მიუხედავად იმისა, რომ გასულ სეზონში მისი თამაშით უკმაყოფილო დარჩენილა და ეს ჟურნალისტებსაც უთხრა: „ხოჯავას კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს და არ ვაპირებ მის გაშვებას. გოჩას ვერ შევაქებ, პირიქით, მისი თამაშით უკმაყოფილო ვარ. ფეხბურთი, რომელსაც ხოჯავა აჩვენებს, ჯერჯერობით ის არ არის, რაც მსურს, თუმც ვიცი მისი შესაძლებლობები და მერწმუნეთ, მას უკეთ შეუძლია თამაში. გასულ სეზონში ხოჯავამ შესაძლებლობების 60 პროცენტი აჩვენა“ — განაცხადა თეთრაძემ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

## კიევური მამლები

**იტალიის** ნაკრების გამარჯვებამ გლაზგოში უკრაინა — საფრანგეთი „მამლებისთვის“ ფორმალობად აქცია. ამის მიუხედავად, ფრანგთა მწვრთნელი რაიმონ დომენეკი კიევში მოსაგებად ჩადის და უძლიერესი შემადგენლობის დაყენებას აპირებს.

თავად დომენეკი კი გაიძახის, უძლიერეს შემადგენლობას დავაყენებო, მაგრამ ფაქტია, კიევში ტრავმის გამო ვერ ითამაშებს ერთ-ერთი ლიდერი ფლორენ მალუდა. ბოლო სანაკრებო ვარჯიშები ასევე ტრავმის გამო გაუცდათ ლილიან ტურამსა და მეტიუ ფლამინის, რომელმაც შაბათს მაროკოს წინააღმდეგ (2:2) პირველად ითამაშა „სამფეროვანთა“ შემადგენლობაში.

ფრანგები არ ახმაურებენ, თუმც ევროპული პრესა ირწმუნება, ტრავმები ნიკოლა ანელკას, ტიერი ანრისა და ჟერემი ტულალანსაც აწუხებთო და მათი კლუბებიც შეშფოთებულნი ყოფილან...

დომენეკის საუკრაინო სია კი ასეთია:

*მეკარეები:* სებასტიან ფრეი (ფიორენტინა, იტალია), მიკაელ ლანდრო (პსჟ), ულრიხ რამე (ბორდო);

*მცველები:* ერიკ აბიდალი (ბარსელონა, ესპანეთი), ლილიან ტურამი (ბარსელონა, ესპანეთი), ფრანსუა კლერკი (ლიონი), სებასტიენ სკილაჩი (ლიონი), პატრის ევრა (მანჩესტერი, ინგლისი), უილიამ გალასი (არსენალი, ინგლისი), ბაკარი სანია (არსენალი, ინგლისი);

*ნახევარმცველები:* ალიუ დიარა (ბორდო), ლასანა დიარა (არსენალი, ინგლისი), მეტიუ ფლამინი (არსენალი, ინგლისი), კლოდ მაკელელე (ჩელსი, ინგლისი), სამირ ნასრი (მარსელი), ჟერომ როტენი (პსჟ), ჟერემი ტულალანი (ლიონი), ფრანკ რიბერი (ბაიერნი, გერმანია);

*თავდამსხმელები:* ნიკოლა ანელკა (ბოლტონი, ინგლისი), ქარიმ ბენზემა (ლიონი), სიდნეი გოვუ (ლიონი), ჰატემ ბენ-არფა (ლიონი), ტიერი ანრი (ბარსელონა, ესპანეთი).

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## საქართველოს ჭაბუკთა ლიგა

**1991 წელს დაბადებულები**

დასავლეთი ზონა

მესხეთი 2:5 სპარტაკი

ბორჯომი 1:2 მგლები

დილა 2:0 მართვე

ბათუმი 1:1 ზესტაფონი

ცენტრალური ზონა

ოლიმპიკი 1:2 35-ე სკოლა

ამერი 2:1 მთვარის გლობუსი

დინამო 1:0 მერანი

თ. ს. აკადემია 2:0 იმედი

**1992 წელს დაბადებულები**

დასავლეთი ზონა

მესხეთი 0:2 სპარტაკი

ბორჯომი 0:1 მგლები

დილა 0:1 მართვე

ბათუმი 2:2 ზესტაფონი

ცენტრალური ზონა

ოლიმპიკი 0:3 35-ე სკოლა

ამერი 1:3 მთვარის გლობუსი

დინამო 0:0 მერანი

თ. ს. აკადემია 2:1 იმედი


**ყურადღება!**

შპს. „ბ და ბ“ აცხადებს სისხლძარღვთა და სახსრების ულტრაბგერითი გამოკვლევის სპეციალისტის შერჩევას, მაღალი სახელფასო ანაზღაურებით (ასაკი 28-45წ).

სპეციალისტს უნდა გააჩნდეს ლიცენზია და შესაბამისი სერთიფიკატი. სასურველია მუშაობის ორი წლის გამოცდილება, საბაზისო ინგლისურის ცოდნა და სარეკომენდაციო წერილი.

ჩატარდება წინასწარი გასაუბრება და დაინიშნება ტესტირების დღე. გასაუბრება ჩატარდება — ქ. თბილისის პირველ საავადმყოფოში (წინანდლის ქ.№9).

საკონტაქტო ტელეფონები: 899 50-23-43; 79-39-66 8 საათის შემდეგ.

# ვის რა ელის ისრაელის შემდეგ

## ტალ, SMS მოგივიდა!



სანამ მადლობას ეტყოდა, უეინ რუნის ტალ ბენ-ჰაიმისთვის თავიც ურტყია



პიტერ კრაუჩი

**ტალ ბენ-ჰაიმმა** ჟურნალისტებს უამბო, როგორ დაბომბეს ინგლისელმა მეგობრებმა ტექსტ-მესიჯებით. თურმე, ბენ-ჰაიმის მობილურს ჯონ ტერიმ, ფრენკ ლამპარდმა, უეინ ბრიჯმა, ეშლი კოულმა და ჯო კოულმა სულ ბდღვირი ადინეს. გაგიკვირდებათ და, ზოგი მესიჯი ისრაელისა და რუსეთის მატჩის მსვლელობისასაც კი ყოფილა გაგზავნილ-მიღებული.

„არ მინდა მათი შინაარსის გამომზეურება, მაგრამ ძალიან სასიამოვნოა, როცა ინგლისის ნაკრების ფეხბურთელები გქომაგობენ. ახლა, ჯერი, უკვე მათზეა" — თქვა რუსეთის 2:1 დამმარცხებელი გუნდის მცველმა.

საინტერესოა, ნახევარმცველ ტამიე კოენის ამბავიც. მამამისი ავი თავის დროზე „ლივერპულის" ფეხბურთელი გახლდათ და ინგლისური ფეხბურთის დიდი ქომაგია.

უშუალოდ მატჩის შემდეგ, მშობელთან შეხვედრამდე კოენმა ასე თქვა: „დარწმუნებული ვარ, ამწუთას, მამაჩემი სიხარულით მეცხრე ცაზეა. ცხადია, მას ევროპის ჩემპიონატზე ინგლისელთა გასვლა უნდა. ახლა შინ მივალ და ჩვენი გამარჯვების აღსანიშნავად თითო კათხა ლუდსაც გეახლებით. სამწუხაროდ, მეტს ვერ დავლევ, რადგან ოთხშაბათს ახალი თამაში გველის. გვინდა ამიერიდან ასეთი აღმაფრენით გავაგრძელოთ გამოსვლა. რაც შეეხება ევრო 2008-ზე გამსვლელებს, ახლა ყველაფერი საკუთრივ ინგლისელებზეა დამოკიდებული."

23 წლის კოენი, ბუნებრივია, თავადაც ოცნებობს მამამისის ნაკვალევზე ოდესმე გავლას და „ლივერპულის" ფორმის მორგებას.

„ძალიან მინდა, ოდესმე მეც ვითამაშო ინგლისში — თქვა ნეთანიას „მაკაბის" ფეხბურთელმა — ჩემი და სულაც ლივერპულშია დაბადებული და ჩვენ, მთელი ოჯახით „ლივერპულის" ფანები ვართ."

### ომერ, დაქოქე მერსედესი

ომერ გოლანი კი ის კაცია, ვისაც საკუთრივ ისრაელის პრესამ ინგლისის მეფე უწოდა, ანუ მოთამაშე, რომელმაც რუსეთს მეორე გოლი შეუგდო. თამაშის მეორე დღეს გაზეთ „იედიოთის" სპორტული გვერდები სწორედ მოზეიმე გოლანის ფოტოთი იხსნებოდა, შემდეგ კი ეწერა:

„კაშტანის ბავშვებმა ამპარტავანი რუსეთი 2:1 დაამარცხეს და ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის გასაღები ინგლისს გადასცეს."

მაგრამ სად წავა იმ მერსედესის გასაღები, რომელზეც მავანმა ინგლისელმა ბიზნესმენმა ჯერ კიდევ თამაშის წინ თქვა, ისრაელის ნაკრების იმ ფეხბურთელისა იყოს, ვინც რუსებს გამარჯვების გოლს გაუტანსო?

„პრემიის გამოწერა მხოლოდ ისრაელის ფეხბურთის ფედერაციას შეუძლია" — ეწერა ხსენებული ორგანიზაციის ოფიციალურ განცხადებაში, სადაც დაზუსტებული გახლდათ, რომ ფედერაციისა და მოთამაშის გარდა მესამე მხარე ასეთ საკითხებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, რადგან ეს სხვა თუ არაფერი, კორექტული არ გახლავთ.

და რას ამბობს თავად გოლანი?

„მერსედესი ნამდვილად არ მაინტერესებს. ჩემი უპირველესი ინტერესი ჩემი ქვეყნის ნაკრების გამარჯვებაა" — თქვა მან, თუმცა მანამდე იხუმრა, იმ ინგლისელის ნაჩუქარი მანქანის მძღოლად ელიანივ ბარდას წავიყვანო. ცნობისთვის: ელიანივ ბარდა ისრაელის ნაკრების ის მოთამაშეა, რომელმაც გოლანს საგოლე პასი ჩააწოდა.

### რა უნდა მწვრთნელს ტუალეტში?

გუშინდელ „სარბიელში" ვწერდით, რომ ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა სტივ მაკლარენმა ისრაელისა და რუსეთის საბედისწერო მატჩს, უოტფირდის სასტუმროში, ოჯახისა და კოლეგების გარემოცვაში უყურა. ახლა დალოცვილი ინგლისელი ჟურნალისტების წყალობით, გაცილებით საინტერესო დეტალები შევიტყვეთ. აი, კერძოდ რა: იმ დრამატული თამაშის ბოლო წუთები მისტერ მაკლარენს ტუალეტში გაუტარებია, რადგან ტელევიზორთან ველარ გაჩერდა — მეტისმეტად ნერვიულობდა. არადა, მოგეხსენებათ, ისრაელმა რუსებს გადამწყვეტი გოლი სწორედ საფინალო სასტვენის წინ გაუტანა, მანამდე კი რუსებმა გაარტყეს ბურთი მასპინძელთა კარის ძელს.

მაკლარენი: „თამაშის ბოლო 10 წუთს ველარ გავუძელი და სააბაზანოში ჩავიკეტე. ხანი რომ გავიდა, შვილების ღრიალი მომესმა. ვიფიქრე, ალბათ მატჩი დამთავრდა მეთქი. რას წარმოვიდგენდი, რომ ისრაელი კიდევ ერთი გოლის გატანას მოახერხებდა?! საერთოდ, თავს საფეხბურთო მატჩების გაწონასწორებულ მაყურებლად ნამდვილად ვერ ჩავთვლი. ბოლოს და ბოლოს, ანგარიშია მთავარი და არა საკუთრივ მატჩის მიმდინარეობა."

ისრაელის მიერ რუსეთის დამარცხება მაკლარენს ოჯახთან ერთად ლაზათიანი სადილითაც აღუნიშნავს.

„ორიოდ ჭიქა ღვინოც გადავკარი, მაგრამ იმდენად ნანერვიულები და დაღლილი გახლდით, რომ მალე შინისკენ გავეშურე და დავიძინე. ვერ ვიჯერებდი, რომ ისრაელმა 95 წუთი გაძლო. ეს გუნდი თამაშის წინ ხომ წარმოუდგენლად დიდი წნეხის ქვეშ იყო. მერე ვნახე, რუსეთის ნაკრებმა ბურთი ძელს რომ გაარტყა. სწორედ ასეთი დეტალების გამოა, საქმე ვილაცის საზიანოდ და ვილაცის სასარგებლოდ რომ მოექცევა ხოლმე. ზუსტად ასეთი ეპიზოდების გამო ჩვენც ბევრჯერ დავსჯილვართ."

### თქვენ კრაუჩი გიჩვენებთ სეირს!

მაგრამ, ზემოთ რამდენჯერმე ეწერა, რომ E ჯგუფში ევრო 2008-ის საგზურები განაწილებული ჯერ არ არის ანუ ყველაფერი თავად ინგლისელთა ხელშია — ხვალ „უემბლიზე" ინგლისი ჯგუფიდან უკვე გასულ ხორვატიას ხვდება. ამ შეხვედრაში ინგლისელებმა არ უნდა წააგონ, თუმცა, იმედის არწაგებაზე აწყობა, ცხადია, შეცდომაა. ერთი სიტყვით, ინგლისელებს გამარჯვებაზე ფიქრი სჭირდებათ.

„დააკვირდით კრაუჩის შედეგს, მის მიერ ნაკრებში ჩატარებული თამაშებისა და გატანილი გოლების რაოდენობას. რაც უნდა ლაპარაკი, შედეგი ფანტასტიკურია — ამბობს ინგლისელთა კაპიტანი ჯონ ტერი აყლაყუდა ლივერპულელზე, რომელმაც პარასკევს, ავსტრიელებთან ამხანაგურ შეხვედრაში 23-ე სანაკრებო შეხვედრაში მე-13 გოლი შეაგდო — ის ნებისმიერი მეტოქისთვის საოცრად დიდ საფრთხეს წარმოადგენს, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც არ იცის, როგორ დაიცვას თავი თამაშის მისეული სტილისგან. თანაც ახლა კრაუჩი ჩინებულ ფორმაშია და საკუთარ თავში აბსოლუტურად გახლავთ დარწმუნებული. მწამს, ხორვატიასთან შეხვედრაში ის ინგლისის ნაკრებს დიდ საქმეს გაუკეთებს."

და როგორ არის თავად ტერის საქმე? „ჩელსის" ლიდერი იმედოვნებს, რომ სწორედ ხორვატიასთან შეხვედრაში დაუბრუნდება მოედანს — მოგეხსენებათ, ერთი ხნის წინ მან მუხლის ოპერაცია გაიკეთა. როგორც ინგლისელთა ბანაკიდან იტყობინებიან, კაპიტანი უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს, რაც ინგლისელთათვის დიდი შვებაა, რადგან მათ რიო ფერდინანდი ჰყავთ დისკვალიფიცირებული. სხვათა შორის, თავის ვარსკვლავს ამ შეხვედრაში მონაწილეობისთვის „მწვანე" „ჩელსის" მწვრთნელმა ავრაამ გრანტმაც აუნთო.

შეგახსენებთ, რომ კაპიტანი გასულ თვეში, ინგლისისა და რუსეთის თამაშამდე ერთი დღით ადრე დაშავდა.

### და ბექჰი?

ინგლისის ნაკრებში სათამაშოდ სპეციალურად ლოს ანჯელესიდან ჩამოფრენილი დევიდ ბექჰემის ამბავი ასე გახლავთ: როგორც მიმომხილველები ირწმუნებიან, პარასკევს, ავსტრიის წინააღმდეგ გამართულ უკვე ხსენებულ ამხანაგურ შეხვედრაში ბექჰი სრულიად გაუგებრად დარბოდა წინ და უკან. სხვა სიტყვებით, ის ინგლისელთა ერთიან ანსამბლში შერწყმული ვერ იყო.

„მაგრამ, მას ის თამაში სჭირდებოდა — განმარტა მაკლარენმა — ბექჰემის საქმეში ნახვა ჩვენთვისაც ფრიად სასარგებლო იყო. საბედნიეროდ, ბოლო სამი თუ ოთხი თვის მანძილზე ჩვენს გუნდში ყოველ ადგილზე კონკურენციაა. მაგალითად, ბექჰემს ადგილს შონ რაიტ-ფილიპსი და გარეთ ბარი ეცილებიან, ასე რომ, ვინ ითამაშებს და ვინ არა, გადაწყვეტილი ჯერ არ არის."

### გუსი, გუსი...

ხოლო რუსეთის ნაკრების მწვრთნელი, ჰოლანდიელი გუს ჰიდინკი ხორვატების იმედადაა.

„ხორვატებისგან „უემბლიზე" თავგამოდებულ ფეხბურთს ველი. ხომ ნახეთ, როგორ იბრძოლა ისრაელმა, ახლა იგივე ხორვატებმაც უნდა გააკეთონ. ვფიქრობ, მათ მოგებაც შეუძლიათ და მე სწორედ ამას ველი. თუ ძალიან მოინდომებ, „უემბლიზე" მოგებაში წარმოუდგენელი არაფერია."

რაც შეეხება ამპარტავნობისა და ისრაელის შეუფასებლობის თემას, ამაზე ჰიდინკმა ასე ბრძანა:

„ჩვენი მხრიდან არანაირი ამპარტავნობა არ ყოფილა. ან კი, როდის გვქონდა ამპარტავნობის საბაბი, განა რამე მოვიგეთ?"

ხოლო ხორვატთა თავკაცი სლავენ ბილიჩი ასე ამბობს:

„ხორვატიისა და ინგლისის თამაშში ფავორიტი არ არსებოს. ფრე ნამდვილად კარგი შედეგი იქნებოდა, მაგრამ აბა, ფრეზე თამაში როგორ შეიძლება?! ერთი სიტყვით, ოთხშაბათს დიდი თამაშია. „უემბლიზე" გამოსვლა ხომ ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა. გარწმუნებთ, ყველა ღონეს ვიხმართ, რათა ჩვენი ქვეყანა საუკეთესო მხრიდან წარმოვაჩინოთ."

**პაატუნა ბედია**



გუს ჰიდინკი



დევიდ ბექჰემი

## მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# ღრიალი მონუმენტალზე

## პერუმ თითქოს ფიცი დადო

**პერუს** ნაკრებმა ლიმას „ესტადიო მონუმენტალზე“ ბრაზილიასთან დამსახურებულ ფრეს მიაღწია და მოპოვებული ქულა ადრე აღებულ ორ ქულას მიამატა. თუმცა ხოსე „ჩემო“ დელ სოლარის ბიჭებმა უფრო მნიშვნელოვანი საქმეც გააკეთეს — ყველას დაუმტკიცეს, რომ უკეთ თამაშიც შეუძლიათ...

„ინკები“ ბრაზილიის ეროვნულ გუნდს თავიდანვე ბრძოლის ჟინით ანთებულნი ეკვეთნენ, თითქოს მატჩამდე ერთმანეთისთვის შეეფიცოთ, ტიტულიან მეტოქეს არაფერი დავუთმოთო. მასპინძლებმა ბრაზილიელთა ტექნიკური უპირატესობის თაობაზე კარგად უწყოდნენ. ამიტომაც რობინიოს, კაკას და მოშველიებულ რონალდინიოს კომბინაციების ჩასაშლელად თავი არ დაუზოგავთ.

შესანიშნავად ითამაშა პერუს ნაკრების მცველმა სანტიაგო აკასიეტემ, წინა ხაზზე კი პაოლო გერერო, კლაუდიო პიზარო და კარლოს ლაბატონი ირჯებოდნენ ვაჟკაცურად. თუმცა, პერუელთა ჭიდილის მიუხედავად, კაკამ მაინც დაამტკიცა, რომ უმაღლესი დონის შემსრულებელია. „მილანის“ ვარსკვლავმა 40 მეტრიდან გაისროლა და რომ არა მეკარე პენის სიფხიზლე, ულამაზეს გოლს შეაგდებდა.

კაკას ეპიზოდიდან 3 წუთის შემდეგ ჯეფერსონ ფარფანმა საპასუხოდ დაარტყა, თუმცა არაზუსტად და აქედან მოყოლებული, თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში გაჩაღდა, საიდანაც ბრაზილიელები წინ რობინიოს, კაკასა და ვაგნერ ლავის პასებით მომარაგებას ცდილობდნენ. პერუელთაგან ბრაზილიის მეკარე ჟულიო სეზარი სახიფათო ვიზიტით ხუან ვარგასმა შეაშფოთა და პიზარომაც, გერეროს ბრწყინვალე პასის შემდეგ ბურთი კარს მცირედით ააცილა.

32-ე წუთზე მასპინძლებს გული გადაუქანდათ — ვაგნერ ლავმა მეკარეს კი აჯობა, მაგრამ ბურთი კარს სანტიმეტრებით ააცილა. გოლკიპერმა დიეგო პენიმ რამდენიმე წუთის შემდეგ ვერც კაკას გაუწია ჯეროვანი წინააღმდეგობა, თუმცა ამ შემთხვევაში ბედმა პერუს უკვე ზურგი შეაქცია — 1:0 ბრაზილიელთა სასარგებლოდ.

შესვენებამდე მცირე ხნით ადრე კაკას მეორე გოლის შეგდებაც შეეძლო. მასპინძლებს დაბნეულობა მეორე ტაიმშიც გადაჰყვათ და ბრაზილიაც უფრო სახიფათო გახდა. ამის შემხედვარე ხოსე დელ სოლარმა ნახევარმცველი ხუან ხაიო ფორვარდი მენდოსათი, კარლოს ლობატონი კი პაოლო დე ლა ასათი შეცვალა. პერუელებს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ და მატჩის გადასარჩენად იერიშებს მიმართეს.

ცვლილებებმა გაამართლა, რადგანაც ეს ორი ფეხბურელი რობერტო პალასიოსს ამოუდგა მხარში და ჟულიო სეზარის კართან ამ სამეულმა ორომტრიალი მოაწყო. რაც შეეხება რონალდინიოს, მთელი თამაშის განმავლობაში „კიჭა“ ერთადერთხელ აფეთქდა — 68-ე წუთზე შორიდან საშინელი ძალით დაარტყა და პენიც გვარიანად გაისარჯა კარის გადასარჩენად.

71-ე წუთზე ხუან ვარგასის მიერ გასროლილი ბურთი ლუსიოს ფეხზე მოხვდა და „ესტადიო მონუმენტალის“ გამაყრუებელი ღრიანცელის თანხლებით სეზარის კარში შევარდა. მერე რონალდინიოს მოწოდებული კუთხური იყო, რაც ბრაზილიელებმა დიეგო პენის კარის ძელის „დაბეჭდვით“ დაასრულეს. „კანარინიამ“ „ინკების“ მამულიდან მარტო ქულის წაღება მოახერხა.

შესარჩევის მესამე ტურში ჩილეც დაუზავდა ურუგვაის. ადგილობრივთაგან გოლები ლუის სუარესმა და სებასტიან აბრეუმ გაიტანეს, მომხვდურთაგან კი დუბლი ვეტერანმა მარსელო სალასმა შეასრულა. ორივე ნაკრებს 4-4 ქულა დაუგროვდა. ისე, „ესტადიო სენტენარიოზე“ გამარჯვებას ურუგვაელები უფრო იმსახურებდნენ, ოსკარ ტაბარესის „სელესტე“ მარსელო ბიელსას „ლა როხას“ სჯობდა.

**ლადო ხომერიკი**



სებასტიან აბრეუმ „სელესტე“ მარცხისგან იხსნა

**სამხრეთ ამერიკა. III ტური**

**ურუგვაი 2:2 ჩილე**

1:0 სუარესი (42), 1:1, 1:2 სალასი (59, 70პ), 2:2 აბრეუ (81)

**ურუგვაი:** კარინი, ლუგანო, გოდინი, სკოტი (მ. პერეირა 62), ფუსილე, კ. როდრიგესი, გარგანო, ვ. სანჩესი (ი. გონსალესი 65), ლ. სუარესი, აბრეუ, დ. პერესი (რიოსი 46)

მწვრთნელი: ოსკარ ტაბარესი

**ჩილე:** კ. ბრავო, კ. ალვარესი (ფუენტესი 60), ხარა, რიფო, რუბიო (ვილანუევა 46), ვიდალი, მ. ფერნანდესი, დროგეტი, პონსე, მ. სალასი, უ. სუაზო (მოია 72)

მწვრთნელი: მარსელო ბიელსა

გაფრთხილება: როდრიგესი, სუაზო, სკოტი, რუბიო, გარგანო, ლუგანო, პონსე, ვიდალი

მსაჯი: სერხიო პეცოტა (არგენტინა)

50 000 მაყურებელი

**პერუ 1:1 ბრაზილია**

0:1 კაკა (40), 1:1 ვარგასი (71)

**პერუ:** პენი, ა. როდრიგესი, აკასიეტე, ხ. ვარგასი, სოლანო, ხაიო (ა. მენდოსა 62), პ. გერერო (პალასიოსი 46), გ. სალასი, ლობატონი (დე ლა აზა 66), კ. პიზარო, ფარფანი

მწვრთნელი: ხოსე დელ სოლარი

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, ლუსიო, ჟუანი, ჟილბერტო, ჟილბერტო სილვა, მინეირო, კაკა, რონალდინიო, ვაგნერ ლავი (ლუიშ ფაბიანო 68), რობინიო (ელანო 74)

მწვრთნელი: კარლოს დუნგა

გაფრთხილება: სოლანო, ვარგასი, დე ლა აზა, ლუსიო, მენდოსა

მსაჯი: კარლოს ტორესი (პარაგვაი)

30 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| პარაგვაი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| ბრაზილია | 3 | 1 | 2 | 0 | 6:1 | 5 |
| კოლუმბია | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | 5 |
| ურუგვაი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:3 | 4 |
| ჩილე | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ვენესუელა | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| პერუ | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| ბოლივია | 3 | 0 | 1 | 2 | 0:8 | 1 |
| ეკვადორი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:11 | 0 |



# გამარჯვება ბურთის გაუგორებლად

**კლერფონტეინში** მდებარე საფრანგეთის ნაკრების საწვრთნელ ცენტრში, „სამფეროვანმა“ მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა ევრო 2008-ზე დაუსწრებლად გასვლით გაიხარეს. კერძოდ რა და როგორ მოხდა, ალბათ, ყველასთვის კარგად არის ცნობილი: საფრანგეთს საქმე იტალიელთა მიერ სქოთების გლაზგოში ძლევამ გაუკეთა. ამ შედეგმა ფრანგთა ბოლო თამაშს, რომელიც ხვალ უკრაინაში შედგება, გასვლა-არგასვლის თვალსაზრისით აზრი დააკარგინა.

„სადილობისას შამპანური გავხსენით — უამბო ჟურნალისტებს „ლურჯების“ მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა — ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა ისეთი ამბავია, რომელსაც აღნიშვნა უნდა. ასეთ წარმატებას უხმაუროდ ვერ შევეგებებოდით.“

„არსენალის“ კაპიტანი უილიამ გალასი: „გვიხარია, რადგან ევროპის ჩემპიონატზე მოვხვდით, თანაც — შესარჩევი შეჯიბრების დასრულებამდე ერთი მატჩით ადრე.“

გარდა ზემოთქმულისა, დომენეკმა ისიც აღნიშნა, რომ მისი გუნდის ევრო 2008-ზე გასვლა ფრანგული ფეხბურთის სტაბილურობას ადასტურებს, რომელიც „მამლებს“ ადრე ასე აკლდათ.

„საფრანგეთის ნაკრებისთვის ყოველ ორ წელიწადში ერთხელ დიდ შეჯიბრებაში მონაწილეობა უკვე ჩვეულებრივი ამბავია, და რა აჯობებს, თუ ფინალშიც ხშირად ვიქნებით ან სულაც ჩემპიონები გავხდებით.“

და რისთვისღა სჭირდებათ ფრანგ ფეხბურთელებს ოთხშაბათის შეხვედრა?

დომენეკი: „უკრაინელებთან შეხვედრით ფინალური ეტაპისთვის მზადებას ვიწყებთ. ყოველი მოთამაშე შეეცდება დაამტკიცოს, რომ ძირითად შემადგენლობაში სწორედ მან უნდა ითამაშონ და არა სხვამ.“

**ბაკურა ძიძია**

# სური, კიატპრავუტი და ტერასილი

**„მანჩესტერ სიტის“** ახალი ფეხბურთელი ჰყავს — ტაილანდელი სური სუკჰა, რომელიც ამბობს, რომ ინგლისურმა გუნდმა კარგი ფეხბურთელობის გამო იყიდა და არა იმიტომ, რომ კლუბის მეპატრონის თანამემამულეა.

მოგეხსენებათ, მანჩესტერ სიტის“ მეპატრონე ტაილანდის ყოფილი პრემიერ მინისტრი ტაქსინ შინავატრა გახლავთ, მწვრთნელი კი შვედი სვენ გორან ერიკსონია.

„მჯერა რომ ფეხბურთის კარგად თამაში მეხერხება. მჯერა, რომ მანჩესტერში წარმატებას მივაღწევ, ხოლო პოლიტიკა აქ არაფერ შუაშია. ის კი დიდებულია, ჩემს თანამემამულე მოთამაშეებს ასპარეზი რომ გამოუჩნდათ. იმედი მაქვს, ჩემს ახალ გუნდს წავადგები. რაც შეეხება იმას, რომ ტაქსინ შინავატრას ტაილანდური ფეხბურთის აყვავება აქვს მიზნად დასახული, ამაში ცუდი არაფერია“ — განაცხადა „სიტის“ ახალწვეულმა ტაილანდის მიერ იემენის 1:0 ძლევის შემდეგ.

სური მცველია. მის გარდა „მანჩესტერ სიტიში“ აღმოჩნდნენ ცენტრალური ნახევარმცველი კიატპრავუტ საივაეო და თავდამსხმელი ტერასილ დანგდა. ამ ტრიომ ინგლისური პრემიერლიგის გუნდთან სამწლიანი ხელშეკრულება დადო.




„სიტის“ ტაილანდური ნამატი

ტაილანდის ნაკრების მწვრთნელი ჩარვიტ პოლჩევინი: „რასაკვირველია, ეს ტრანსფერი პოლიტიკური მოტივებითაა განხორციელებული, მაგრამ ამასთან მას სხვა მიზეზიც აქვს. სური „მანჩესტერ სიტიში“ გასინჯვების დროს ვნახე და ის მართლაც შესანიშნავი იყო. სვენიც კმაყოფილი ჩანდა და აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ერიკსონის გადაწყვეტილება იყო და არა ტაქსინის.“

ახლა კი ორი სიტყვით იმის შესახებ, თუ რა შუაშია აქ პოლიტიკა. საქმე ის გახლავთ, რომ დეკემბერში ტაილანდში არჩევნებია და მასში გამარჯვების დიდი შანსი სწორედ იმ პარტიას აქვს, რომელსაც ტაქსინ შინავატრას ხალხი მართავს. მართალია, თავად ტაქსინი ირწმუნება, რომ პოლიტიკას შეეშვა, მაგრამ სამი ფეხბურთელის ინგლისში წაყვანა ბევრს მაინც წინასაარჩევნო ხრიკი ჰგონია.

**ბაკურა ძიძია**

# უმაყურებლოდ

## იუვეს ბოშა ქვირად დაუჯდა



„ატალანტა“ და „მილანი“ 11 ნოემბრის მატჩს ცარიელი ტრიბუნების წინ გადაითამაშებენ

**გუშინ** აპენინურმა ჟურნალ-გაზეთებმა იტალიის ფეხბურთის ლიგის გადაწყვეტილება გაავრცელეს — 11 ნოემბერს მატჩის მე-7 წუთზე ბერგამოელი ულტრასების მიერ ატეხილი აურზაურის გამო ჩაშლილი „ატალანტასა“ და „მილანის“ მატჩი უმაყურებლოდ გადათამაშდება.

გარდა ამისა, იტალიის ფეხბურთის ლიგამ ბოლო დროს აგრესიულობით გამორჩეულ „ატალანტას“ ულტრასების დაჯგუფება „კურვა ნორდს“ საყვარელი გუნდის საშინაო მატჩებზე დასწრება 2008 წლის 31 მარტამდე აუკრძალოს.

შეგახსენებთ, რომ 11 ნოემბერს გადადებული „ინტერი“ — „ლაციო“ და „რომა“ — „კალიარი“ 5 დეკემბერს ჩატარდება, ხოლო როდის გაიმართება „ატალანტასა“ და მილანის“ შეხვედრა, ჯერაც უცნობია, რადგან „როსონერის“ კალენდარი იმდენად გადატვირთულია, რომ ორივე მხარისთვის მისაღები თარიცის გამოძებნა მეტად რთული აღმოჩნდა. თუმცა ამასაც მალე მოევლებაო.

ვთქვათ ისიც, რომ იტალიის ფეხბურთის ლიგამ 18 ათასი ევროთი დააჯარიმა „იუვენტუსი“, რადგან ტურინელ ფანებს „ინტერთან“ მატჩისას ბანერი ჰქონდათ გამოფენილი: „იბრაჰიმოვიჩი — ბინძური ბოშა“.

„ლაციოს“ ქომაგებმა ბოშა უძახეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა ფლორენციელ ადრიან მუტუსაც მიაყენეს, მაგრამ „ბიანკოჩელესტი“ არ დაისაჯა — ამ შეურაცხყოფის დამადასტურებელი მასალის არარსებობის გამო.

**გიორგი ძაძაბაძე**

# კარგი ფანები ცუდი ფანების წინააღმდეგ

**იტალიაში** გრძელდება ბჭობა, თუ როგორ უნდა გამკაცრდეს სტადიონზე და მის მიღმა ფანების ქცევის წესები, რათა საზოგადოებრივი უსაფრთხოება დაცული იყოს და ტრაგიკული ინციდენტები აღარ მოხდეს.

ფანები კი მოლაპარაკებებსა და გამოსავლის ძიებაში თავიანთი წარმომადგენლების ჩართვას ითხოვენ — პრობლემების მოგვარება ჩვენც გვინდა და აზრი გამოგვათქმევინეთო.

შაბათს სხვადასხვა გუნდის ფანკლუბების წევრები ფეხბურთის ქომაგთა ფედერაციას შეუერთდნენ და პრობლემებზე იმსჯელეს.

„ჩვენდამი სერიოზული ყურადღება ჯერ არავის გამოუჩენია, რაც არასწორად მიგვაჩნია და იმედია, ეს შეიცვლება. ქომაგებისთვის სტადიონებზე შესვლის აკრძალვა გამოსავალი არ არის. თუ მოვილაპარაკებთ და ყველაფერს ორგანიზებას გავუწევთ, ფანების სხვადასხვა დაჯგუფებისა და მათი ქმედებების მაქსიმალურად გაკონტროლებას შევძლებთ“ — თქვა იტალიის ფეხბურთის გულშემატკივართა ფედერაციის პრეზიდენტმა ფრანჩესკო ლიტოტომ.

ფანების ერთ-ერთი იდეა ულტრასების თითოეული წევრისთვის სპეციალური ბარათის შექმნაა, რომელზედაც მისი მფლობელის ვინაობა ეწერება და რომლის გარეშეც ფანი ბილეთს ვერ შეიძენს. ამ ბარათების შემოღება კონტროლსაც გააიოლებს და უსიამოვნო ინციდენტების რაოდენობას მნიშვნელოვნად შეამცირებსო.

**კოკი კანდელაკი**

# ვარგისია 2008 წლამდე

## არაგონესმა შენახვის ვადა განისაზღვრა

**ესპანეთის** ნაკრების მწვრთნელმა ლუის არაგონესმა თქვა, „ფურია როხას“ 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დავტოვებო.

„მშვენივრად ვიცი, ვარგისიანობის ვადა სადამდე მაქვს და ეს მარტო მე კი არა, მთელ ქვეყანას მოეხსენება“ — განაცხადა მოხუცმა სპეციალისტმა მედიასთან შეხვედრაზე.

დონ ლუისი ეროვნული გუნდიდან 2008 წლის ივნისში წავა, ანუ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციასთან დადებულ საკონტრაქტო ხელშეკრულებას ბოლომდე მოასრულებს.

„ელ საბიოს“ ადრე მოულოდნელ წაგებათა და ნაკრებიდან რაულის დათხოვნის გამო ბევრი კრიტიკა შეხვდა, თუმცა მხცოვანმა კაცმა უკმაყოფილოთა შემოტევები ვაჟკაცურად აიტანა, არც ნაკრები დაუტოვებია და „ფურია როხაც“ ავსტრია-შვეიცარიის ევროპის პირველობაზე გაიყვანა. ახლა კი: „მე ჩემი ვარგისიანობის ვადა მაქვს. ეს რძესავით, ან სხვა რაიმე პროდუქტივითაა, რომლის დაძველების შემდეგ მოხმარება აღარ შეიძლება“ — ამბობს სენიორ არაგონესი.

**ლადო ხომერიკი**



# რომანი გასახდელში

**რუსული** მედიის ცნობით, ისრაელ-რუსეთის მატჩის შემდეგ გასახდელში რომან აბრამოვიჩი ჩასულა. წაგებულები ჩუმად და თავჩაქინდრულნი ისხდნენ. „ჩელსის“ მეპატრონეს ერთი წინადადება უთქვამს: „ასეთი თამაშით ევროპის ჩემპიონატზე არაფერი გვესაქმება“. აბრამოვიჩი რუსეთში „ფეხბურთის ნაციონალურ აკადემიას“ აფინანსებს და ნაკრებსაც ბლომად ფული დაახარჯა.

# ჰატონს გაანევილებენ?

**„მანჩესტერ იუნაიტედს“** გლაზგოს „რეინჯერსიდან“ ალან ჰატონის ყიდვა უნდა. 22 წლის მცველი ინგლისურ კლუბს გარი ნევილის შემცვლელად სურს. ნევილს თებერვალში 33 წელი შეუსრულდება და კარიერის დასასრულისკენ წავა. ჰატონი დაცვის ფლანგზე თამაშობს და შეტევებში კარგად ჩართვა რომ ეხერხება, იტალიასთან მატჩშიც გამოჩნდა. „რეინჯერსის“ ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს. მისი ფასი 12 მილიონი ევროა.

# რეალმა ჰაიტელი იპოვა

**მადრიდის** „რეალი“ ნიუ იორკის „რედ ბულსს“ იოზი ალტიდორის ტრანსფერზე ევაჭრება. 19 წლის ფორვარდის თამაში „რეალის“ სკაუტებმა ამ ზაფხულს, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ნახეს და მოეწონათ. მადრიდული კლუბის სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა აშშ-ში მოსალაპარაკებლად თანაშემწე კარლოს გრიფონი გააგზავნა. წარმოშობით ჰაიტელი ალტიდორი „რედ ბულსში“ წელიწადში 85 ათას დოლარს იღებს.

# ლემანს თითი გაუკვირდა

**იენს ლემანი** უხამსობას უარყოფს. გერმანია-კვიპროსის მატჩისას ტელევიზიამ დაიჭირა კადრი, როცა მეკარე შუა თითით თავს იფხანს, რაც გაზეთებში გადაბეჭდეს და ისე აჩვენეს, თითქოს ლემანი შუა თითს ქომაგებს „უგზავნის“. მატჩი ჰანოვერში გაიმართა და ამ კლუბის გულშემატკივრები თავიანთი გუნდის მეკარის რობერტ ენკეს შესვლას ითხოვდნენ ლემანის ნაცვლად. მედია კი ეჭვობს, რომ „არსენალის“ გოლკიპერმა ჰანოვერელებს შუათითით უპასუხა. „მსგავსი რამ ცხოვრებაში არასოდეს ჩამიდენია“ — თქვა ბრალდებულმა, რომელმაც ნაკრებში 50-ე მატჩი ითამაშა.

# ისმაელს არ დაიჭერენ

**„ბაიერნის“** მცველ ვალერიან ისმაელს კლუბიდან წასვლა სურს. 32 წლის ფრანგს ბარძაყის მოტეხილობის გამო წინა სეზონი გაუცდა და ახლა ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვეღარ იბრუნებს. „ისმაელმა მითხრა, რომ გუნდის გამოცვლა უნდა და ჩვენ ხელს არ შევუშლით“ — თქვა „ბაიერნის“ გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა.

# ეკვადორმა 145 გამოიძახა

**სტუმრად** პარაგვაისთან 1:5 მარცხის შემდეგ ეკვადორის მწვრთნელი ლუის სუარესი მოხსნეს და მის ნაცვლად, დროებით, სიქსტო ვისუეტე დანიშნეს. ვისუეტე მანამდე 18-წლამდელთა ნაკრებში მუშაობდა. მისი დებიუტი 21 ნოემბერს პერუსთან შედგება. ახალმა მწვრთნელმა გუნდში უხმო 33 წლის მცველ ივან ურტადოს, ვისაც სუარესი არ სწყალობდა. ურტადოს ნაკრებში 145-ჯერ უთამაშია. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევში ეკვადორმა სამივე მატჩი წააგო და ჯგუფში ბოლო ადგილზეა.

# დამასტვენინეთ!

**გერმანელმა** არბიტრმა მარკუს მერკმა მსაჯებზე დაწესებულ ასაკობრივ ლიმიტს დისკრიმინაციული უწოდა. მერკი უკვე 45 წლისაა და ფიფას წეს-კანონით საერთაშორისო მატჩებში სტვენა წლეულს უნდა დაასრულოს. გერმანელმა ბოლოს გასულ შაბათს, ნორვეგია-თურქეთის შეხვედრაში იმსაჯა და ეს მისი 50-ე სანაკრებო „თამაში“ იყო. „ასაკობრივი ზღვარი უნდა გაიზარდოს — დაიჩივლა არბიტრმა — ახლახან ზედიზედ ორჯერ გავიარე ტესტი და თავს ფიზიკურად საუცხოოდ ვგრძნობ. ჩემი აზრით, ლიმიტი დისკრიმინაციულია, რადგან მუშაობის უფლებას მიზღუდავს“. ფიფას პრესმდივანმა ორშაბათს განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში კანონის შეცვლა არ იგეგმება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მობეზრებული თემა: ადრიანო

**ბრაზილიელი** ადრიანოს აგენტმა ჟილმარ რინალდიმ უარყო ცოტა ხნის წინ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოსდა „იმპერატორი“ „ინტერში“ თავს ცუდად გრძნობდეს, მილანში დაბრუნებას აღარ აპირებდეს და კარიერის სამშობლოში გაგრძელება სურდეს.

„ჩემი კლიენტი ბრაზილიაში ორი თვით სამკურნალოდაა ჩასული. 1 იანვრისთვის ადრიანო მილანში დაბრუნდება. ახლა იგი რიო დე ჟანეიროში ოჯახთან ერთადაა და სარეაბილიტაციო კურსის გავლისთვის ემზადება. არ არსებობს იმის მინიმალური შანსიც კი, რომ ადრიანო „ფლამენგოში“, „სანტოსში“, „სან პაულუში“ ან რომელიმე სხვა ბრაზილიურ კლუბში გადავიდეს“ — თქვა რინალდიმ.

„ნერაძურისა“ და ბრაზილიის ნაკრების მეკარე ჟულიო სეზარი: „ადრიანო უნდა გამხნევდეს და რთული პერიოდი გადალახოს. მჯერა, მალე ძველებურად ათამაშდება და ნაკრებშიც დაბრუნდება. კარლოს დუნგამ თქვა, რომ შანსს ყველას მისცემს. ადრიანოს დროც დაბრუნდება — როცა სტაბილურად ათამაშდება“.

**კოკი კანდელაკი**

# წვერიანი კლუბები

## ფიფა შეფილდის ჭაღარას აღიარებს

**რომელია** მსოფლიოს უძველესი კლუბი? ფიფა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია უძველესად „შეფილდს“ აღიარებენ, რომელიც 1857 წლის 24 ოქტომბერს დაარსდა და ამის დამადასტურებელი საბუთიც არსებობს. უძველესობაზე პრეტენზია ჰქონდა „კემბრიჯს“, რომელმაც 2006-ის დეკემბერში ქაღალდებიც კი მიიტანა „ზევით“, მაგრამ ამაოდ — პირველობა „შეფილდს“ დარჩა. დავაზუსტოთ: „შეფილდი“ ამჟამად სამოყვარულო კლუბია და ინგლისის მეშვიდე დივიზიონში თამაშობს. ამ გუნდს „შეფილდ იუნაიტედთან“ და „შეფილდ უენსდისთან“ ქალაქის გარდა საერთო არაფერი აქვს. „იუნაიტედი“ და „უენსდი“ ჩემპიონლიგაში არიან.

24 ოქტომბერს „შეფილდმა“ 150 წლისთავი იზეიმა და პატივცემული სტუმრები დაპატიჟა. მათ შორის იყვნენ ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი და პელე. ბლატერი გაკვირვებული დარჩა იმით, რომ „შეფილდზე“ იქაურ ეკლესიაში ლოცულობენ. „33 წელია, ფიფაში ვარ და მსგავსი რამ აქამდე არ მენახა“ — თქვა გაოცებულმა პრეზიდენტმა.

ოფიციალური თუ არაოფიციალური წყაროების მიხედვით, მე-19 საუკუნეში 414 კლუბი დაარსდა, მაგრამ ბევრი მათგანი საფეხბურთო რუკიდან წაიშალა. „შეფილდმა“ კი აქამდე გულშემატკივრების შემწეობით მოაღწია.

ფიფა „შეფილდს“ აღიარებს, თუმც ეს არ აღელვებს ნოტინგემის „ნოთს ქაუნთის“, რადგან საკუთარ ვებგვერდზე მიუთითებს, რომ სწორედ მათი კლუბია უძველესი (დაარსდა 1862 წელს). „შეფილდისგან“ განსხვავებით, „ნოთსი“ პროფესიულია და ნოტინგემელებსაც არგუმენტად ეს ფაქტი მოჰყავთ.

მაშ, რაღა ქნას „მიუნხენ 1860“-მა? გერმანულ კლუბს დაბადების მოწმობაში რატომღაც 1848 წელი უწერია და 2008-ში დაარსებიდან 160 წლისთავის ზეიმს ფიფა დაუშლის? მიუნხენელებიც, თავის მხრივ, უძველესობას იჩემებენ (მაშინ რატომ 1860?).

მოკლედ, საკამათო ამბავია, ფიფაში საბუთებს ითხოვენ, ჩვენ კი გთავაზობთ მსოფლიოს უძველესი კლუბების ცალკე ნუსხას და ქვეყნების მიხედვით კი მათ გარდა ხუთეულებს.

**ვაჟა ხუციშვილი**




### უძველესი კლუბები

| | |
|---|---|
| შეფილდი (ინგლისი) | 1857 |
| უონდერერსი (ინგლისი) | 1859 |
| მიუნხენ 1860 (გერმანია) | 1860 |
| ნოთს ქაუნთი (ინგლისი) | 1862 |
| ოლდ ეტონიანსი (ინგლისი) | 1865 |
| ვესტ სკოტლენდი (შოტლანდია) | 1865 |
| ქუინზ პარკი (შოტლანდია) | 1867 |
| შეფილდ უენსდი (ინგლისი) | 1867 |
| სტოკ სიტი (ინგლისი) | 1868 |
| კილმარნოკი (შოტლანდია) | 1869 |
| სტრენრარი (შოტლანდია) | 1870 |
| როტერჰემი (ინგლისი) | 1870 |
| რედინგი (ინგლისი) | 1871 |
| კირკჰაიმი (გერმანია) | 1871 |
| აკრინგტონი (ინგლისი) | 1872 |
| ასტონ ვილა (ინგლისი) | 1872 |
| ლე ავრი (საფრანგეთი) | 1872 |
| დამბარტონი (შოტლანდია) | 1872 |
| რეინჯერსი (შოტლანდია) | 1872 |
| რენტონი (შოტლანდია) | 1872 |
| რექსჰემი (უელსი) | 1873 |
| ჰოუტორნი (ავსტრალია) | 1873 |
| ბოლტონი (ინგლისი) | 1873 |
| მაკლსფილდი (ინგლისი) | 1873 |
| ჰართსი (შოტლანდია) | 1873 |
| გრინოკი (შოტლანდია) | 1873 |
| ჰამილტონი (შოტლანდია) | 1873 |
| ტარფ როვერზი (შოტლანდია) | 1873 |
| ჰიბერნიანი (შოტლანდია) | 1875 |
| პაოკი (საბერძნეთი) | 1875 |
| ლანდლოს თაუნი (უელსი) | 1875 |
| ნიუთაუნი (უელსი) | 1875 |
| ჩირკი (უელსი) | 1875 |
| ბლექბერნი (ინგილსი) | 1875 |
| ბირმინგემი (ინგლისი) | 1875 |
| დარვინი (ინგლისი) | 1875 |
| მადიარი (უნგრეთი) | 1875 |
| კონიკლაიკი (ჰოლანდია) | 1875 |

### ინგლისი

| | |
|---|---|
| მიდლსბრო | 1876 |
| მანჩესტერი | 1878 |
| ევერტონი | 1878 |
| სანდერლენდი | 1879 |
| ფულემი | 1879 |

### საფრანგეთი

| | |
|---|---|
| ბორდო | 1881 |
| მარსელი | 1899 |
| რენი | 1901 |
| ნიცა | 1904 |
| ოსერი | 1905 |

### გერმანია

| | |
|---|---|
| ჰამბურგი | 1887 |
| ჰერტა | 1892 |
| შტუტგარტი | 1893 |
| კარლსრუე | 1894 |
| ჰანოვერი | 1896 |

### იტალია

| | |
|---|---|
| ჯენოა | 1893 |
| უდინეზე | 1896 |
| იუვენტუსი | 1897 |
| მილანი | 1899 |
| ლაციო | 1900 |

### ესპანეთი

| | |
|---|---|
| უელვა | 1889 |
| ბილბაო | 1898 |
| ბარსელონა | 1899 |
| ესპანიოლი | 1900 |
| რეალი | 1902 |

# ოთხი წელი ლამს ელოდნენ

**„მარკას“** ცნობით, გერმანიის ნაკრების მარჯვენა მცველი ფილიპ ლამი „ბარსელონას“ წევრი გახდება. კატალონიურმა გრანდმა მრავალი ევროპული გუნდისთვის სასურველ გერმანელთან წინასწარი ხელშეკრულება გააფორმა და ფილიპიც 2009 წლის ივნისიდან (როცა „ბაიერნთან“ კონტრაქტის ვადა ამოეწურება) ბარსელონელი გახდება.

ლამმა ბავარიულ გიგანტთან ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე უარი „კამპ ნოუზე“ გადაბარგების სურვილიდან გამომდინარე თქვა. მოგახსენებთ, რომ ალემანი მცველი „ბარსას“ სატრანსფერო სიაში 2005 წლიდანაა, როცა „ბაიერნიდან“ „შტუტგარტში“ იყო განათხოვრებული. ახლა კი გარიგება შედგა და „ნაციონალმანშაფტის“ უკანახაზელიც კატალონიურ გრანდში 4 სეზონს გაატარებს.

თუ „ბაიერნი“ ლამის ფასს შეამცირებს, ბარსელონელები ამ ფეხბურთელს, ალბათ, 2008-შიც მიიღებენ. ამჟამად გერმანული კლუბი ფილიპის სატრანსფერო ღირებულებად 15 მილიონ ევროს ასახელებს.

**ლადო ხომერიკი**




**კატალონიური** „ბარსელონას“ არგენტინელ ვარსკვლავს, ლეო მესის „მანჩესტერ სიტი“ უპირებს წაყვანას. „სანდი მეილის“ ცნობით, ინგლისური კლუბის მეპატრონე, ტაილანდელი მილიარდერი ტაქსინ შინავატრა „სიტის“ მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონს საზაფხულო ტრანსფერებისთვის 210 მილიონი ევროთი მოამარაგებს. შვედი კი ამ ფულით ვარსკვლავთა მონაგრებას ეცდება. მათ შორის, ლეო მესის და რონალდინიოს.

შინავატრა თავბრუდამხვევ სატრანსფერო იერიშს გეგმავს. მესის „ბარსელონასთან“ ხელშეკრულება 2014 წლამდე აკავშირებს და არგენტინელთან კონტრაქტის ანულირებაც 150 მილიონი ევრო

# მანჩესტერი უტევს

## სიტი და იუნაიტედი: ორივეს მიზანი ბარსელონაა

ღირს. რონალდინიო კი მოქმედი კონტრაქტით 2010 წლამდე უნდა დარჩეს „კამპ ნოუზე“ და ბრაზილიელის „ბარსადან“ გამოსახსნელი თანხაც 125 მილიონი ევროა.

ამბობენ, „მანჩესტერ სიტის“ „მილანიდან“ კაკას წამოყვანაც უნდაო, ხოლო ზამთრის სატრანსფერო ბაზრისთვის სვენის პრიორიტეტი გუნდში „ლივერპულის“ ფორვარდის, პიტერ კრაუჩის მიყვანა იქნება.

კატალონიას მანჩესტერი მარტო ერთი მხრიდან არ უტევენ. მეორე და გაცილებით ძლევამოსილი იქაური კლუბის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ დამრიგებელი ალექს ფერგიუსონი სამუელ ეტოოს საფეხბურთო ოსტატობაზე ჭკუას კარგავს. **PEOPLE SPORT** აცხადებს, რომ სერ ალექსი აფრიკელი თავდამსხმელის შესაძენად ენერგიას და თანხებს არ დაიშურებს.

შესაძლოა, დღესდღეობით ტრავმირებული კამერუნელის მანჩესტერში გადაბარგების ოპერაციაში ფრანგი ლუი საჰაც ჩართონ.

„იუნაიტედი“ ეტოოს სანაცვლოდ „ბარსასთვის“ ლუი საას და ხუთ მილიონ გირვანქა სტერლინგს იმეტებს.

**ლადო ხომერიკი**

### ესპანეთი

სეგუნდადივიზიონი

XIII ტური

კადისი 0:0 ნუმანსია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაგა | 13 | 10 | 0 | 3 | 24:12 | 30 |
| ნუმანსია | 13 | 8 | 3 | 2 | 22:11 | 27 |
| სპორტინგი | 13 | 7 | 3 | 3 | 19:10 | 24 |
| სევილია B | 13 | 6 | 5 | 2 | 14:11 | 23 |
| ელჩე | 13 | 6 | 3 | 4 | 16:12 | 21 |
| სელტა | 13 | 5 | 5 | 3 | 15:12 | 20 |
| კორდობა | 13 | 4 | 7 | 2 | 17:16 | 19 |
| ხიმნასტიკი | 13 | 5 | 3 | 5 | 17:14 | 18 |
| სალამანკა | 13 | 5 | 3 | 5 | 20:18 | 18 |
| ტენერიფე | 13 | 4 | 6 | 3 | 18:17 | 18 |
| ეიბარი | 13 | 5 | 3 | 5 | 14:13 | 18 |
| კასტელიონი | 13 | 4 | 5 | 4 | 15:12 | 17 |
| ერკულესი | 13 | 4 | 5 | 4 | 18:18 | 17 |
| სოსიედადი | 13 | 4 | 5 | 4 | 12:13 | 17 |
| ფეროლი | 13 | 4 | 4 | 5 | 15:17 | 16 |
| გრანადა | 13 | 4 | 4 | 5 | 14:16 | 16 |
| კადისი | 13 | 4 | 3 | 6 | 8:11 | 15 |
| ალავესი | 13 | 4 | 3 | 6 | 12:16 | 15 |
| პოლი ეხიდო | 13 | 3 | 3 | 7 | 12:24 | 12 |
| ხერესი | 13 | 2 | 5 | 6 | 14:21 | 11 |
| ალბასეტე | 13 | 2 | 3 | 8 | 8:16 | 9 |
| ლას პალმასი | 13 | 1 | 3 | 9 | 10:24 | 6 |

### მექსიკა

აპერტურა. პლეი ოფი

1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

ამერიკა 1:0 მორელია (0:3)

### ამხანაგური მატჩი

იამაიკა 3:0 სალვადორი

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 16:00 | 1 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 2.50 | 3.10 | 2.65 | 1.38 | 1.28 | 1.42 |
| 13:45 | 2 | ნიუკასლი-ლივერპული | 3.20 | 3.30 | 2.05 | 1.62 | 1.24 | 1.26 |
| 16:00 | 4 | არსენალი-უიგანი | 1.15 | 6.00 | 16.00 | 1.00 | 1.07 | 4.36 |
| 16:00 | 6 | ბირმინგემი-პორტსმუთი | 3.00 | 3.20 | 2.30 | 1.54 | 1.30 | 1.33 |
| 16:00 | 7 | ბოლტონი-მანჩესტერი | 7.00 | 3.70 | 1.45 | 2.42 | 1.20 | 1.04 |
| 18:15 | 9 | დერბი-ჩელსი | 10.00 | 5.00 | 1.25 | 3.33 | 1.11 | 1.00 |
| 16:00 | 11 | ევერტონი-სანდერლენდი | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| 16:00 | 12 | სიტი-რედინგი | 1.50 | 3.70 | 6.50 | 1.06 | 1.21 | 2.35 |
| | | 25 ნოემბერი | | | | | | |
| 14:30 | 3 | ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| 17:00 | 14 | ფულემი-ბლექბერნი | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| | | გერმანია. I ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 23 ნოემბერი | | | | | | |
| 23:30 | 94 | კარლსრუე-ჰერტა | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 18:30 | 83 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.22 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.10 | 3.62 |
| 18:30 | 85 | ლევერკუზენი-დუისბურგი | 1.30 | 4.40 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.95 |
| 18:30 | 89 | ბოხუმი-არმინია | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |
| 18:30 | 90 | ჰანოვერი-შალკე | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 18:30 | 91 | კოტბუსი -ვერდერი | 5.20 | 3.50 | 1.60 | 2.09 | 1.22 | 1.09 |
| 18:30 | 93 | აინტრახტი-შტუტგარტი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | 25 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 86 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 20:00 | 87 | ჰამბურგი-ჰანზა | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 21:00 | 140 | ჯენოა-რომა | 4.00 | 3.10 | 1.90 | 1.74 | 1.28 | 1.17 |
| 23:30 | 141 | ინტერი-ატალანტა | 1.20 | 5.50 | 13.00 | 1.00 | 1.09 | 3.86 |
| | | 25 ნოემბერი | | | | | | |
| 18:00 | 133 | ნაპოლი-კატანია | 1.65 | 3.10 | 6.00 | 1.07 | 1.29 | 2.04 |
| 18:00 | 134 | რეჯინა-ფიორენტინა | 3.80 | 3.10 | 1.95 | 1.70 | 1.28 | 1.19 |
| 18:00 | 136 | უდინეზე-სიენა | 1.55 | 3.40 | 6.50 | 1.06 | 1.25 | 2.23 |
| 18:00 | 137 | კალიარი-მილანი | 5.50 | 3.20 | 1.65 | 2.02 | 1.26 | 1.08 |
| 18:00 | 139 | ემპოლი-ტორინო | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| 23:30 | 143 | იუვენტუსი-პალერმო | 1.55 | 3.30 | 6.50 | 1.05 | 1.25 | 2.18 |
| 18:00 | 145 | ლაციო-პარმა | 1.70 | 3.20 | 5.20 | 1.11 | 1.28 | 1.98 |
| 18:00 | 146 | ლივორნო-სამპდორია | 2.85 | 2.80 | 2.60 | 1.41 | 1.35 | 1.34 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 170 | ბარსელონა-უელვა | 1.20 | 6.00 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.88 |
| 23:45 | 175 | მურსია-რეალი | 6.00 | 3.50 | 1.55 | 2.21 | 1.23 | 1.07 |
| 23:00 | 177 | სევილია-მალიორკა | 1.55 | 3.40 | 6.50 | 1.06 | 1.25 | 2.23 |
| | | 25 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 165 | ვილიარეალი-ალმერია | 1.35 | 4.50 | 8.00 | 1.03 | 1.15 | 2.88 |
| 20:00 | 167 | ატლეტიკო-ვალიადოლიდი | 1.50 | 3.60 | 7.00 | 1.05 | 1.23 | 2.37 |
| 20:00 | 168 | ლევანტე-ბეტისი | 2.80 | 3.10 | 2.45 | 1.47 | 1.30 | 1.36 |
| 23:45 | 169 | სარაგოსა-ხეტაფე | 1.75 | 3.20 | 4.70 | 1.13 | 1.27 | 1.90 |
| 20:00 | 172 | ოსასუნა-ესპანიოლი | 2.35 | 3.10 | 2.90 | 1.33 | 1.29 | 1.49 |
| 20:00 | 173 | ბილბაო-დეპორტივო | 2.05 | 3.20 | 3.45 | 1.24 | 1.28 | 1.66 |
| 22:00 | 174 | რასინგი-ვალენსია | 2.90 | 3.10 | 2.35 | 1.49 | 1.29 | 1.33 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 190 | კაენი-ბორდო | 3.00 | 2.90 | 2.30 | 1.47 | 1.30 | 1.28 |
| 23:00 | 192 | ლანსი-ლორიანი | 1.85 | 3.00 | 4.30 | 1.14 | 1.29 | 1.76 |
| 23:00 | 193 | მარსელი-მეცი | 1.45 | 3.50 | 7.00 | 1.02 | 1.20 | 2.33 |
| 23:00 | 194 | ნანსი-ლილი | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 20:10 | 196 | რენი-ლიონი | 3.50 | 2.90 | 2.05 | 1.58 | 1.29 | 1.20 |
| 23:00 | 197 | სტ-ეტიენი-სოშო | 1.90 | 3.00 | 4.10 | 1.16 | 1.29 | 1.73 |
| 23:00 | 198 | სტრასბური-ვალენსიენი | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 23:00 | 199 | ტულუზი-მონაკო | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| | | 25 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 63 | ნიცა-პსჟ | 2.60 | 2.80 | 2.70 | 1.34 | 1.32 | 1.37 |
| 21:00 | 189 | ოსერი-ლე მანი | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 24 ნოემბერი | | | | | | |
| 20:00 | 289 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1.70 | 3.40 | 4.80 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| | | 25 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 288 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 19:00 | 290 | ჰორსენსი-ვიბორგი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 291 | რანდერსი-ლიუნგბიუ | 1.50 | 4.00 | 5.80 | 1.09 | 1.19 | 2.36 |
| 18:00 | 292 | ორჰუსი-ნორდსიელანდი | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| 21:00 | 293 | ესბიერგი-ბრიონდბიუ | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| | | მჩ. შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 20 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 364 | ვენესუელა-ბოლივია | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| 23:45 | 367 | კოლუმბია-არგენტინა | 3.60 | 3.40 | 1.80 | 1.74 | 1.20 | 1.17 |
| | | 21 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 365 | ბრაზილია-ურუგვაი | 1.25 | 5.10 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.31 |
| 23:45 | 366 | ჩილე-პარაგვაი | 2.20 | 3.00 | 3.20 | 1.26 | 1.30 | 1.54 |
| 23:45 | 368 | ეკვადორი-პერუ | 1.65 | 3.40 | 5.10 | 1.11 | 1.24 | 2.03 |
| | | ეჩ. შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 21 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 400 | სომხეთი-ყაზახეთი | 1.60 | 3.40 | 4.90 | 1.08 | 1.20 | 2.00 |
| 20:00 | 401 | რუმინეთი-ალბანეთი | 1.20 | 5.30 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.46 |
| 20:00 | 402 | რუმინეთი-ალბანეთი 0:1 | 1.80 | 3.30 | 3.40 | | | |
| 20:30 | 403 | კვიპროსი-ჩეხეთი | 4.70 | 3.40 | 1.70 | 1.97 | 1.24 | 1.13 |
| 20:30 | 404 | კვიპროსი-ჩეხეთი 1:0 | 1.90 | 3.40 | 2.85 | | | |
| 21:00 | 405 | აზერბაიჯანი-ბელგია | 4.70 | 3.40 | 1.65 | 1.97 | 1.22 | 1.11 |
| 21:00 | 406 | აზერბაიჯანი-ბელგია 1:0 | 2.00 | 3.20 | 2.90 | | | |
| 21:00 | 407 | ისრაელი-მაკედონია | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 21:00 | 408 | ისრაელი-მაკედონია 0:1 | 2.25 | 3.20 | 2.35 | | | |
| 21:00 | 409 | ბელარუსი-ჰოლანდია | 4.80 | 3.40 | 1.60 | 1.99 | 1.20 | 1.08 |
| 21:00 | 410 | სლოვენია-ბულგარეთი | 2.70 | 3.00 | 2.55 | 1.42 | 1.31 | 1.37 |
| 23:00 | 411 | მალტა-ნორვეგია | 13.00 | 6.50 | 1.12 | 4.33 | 1.03 | 1.00 |
| 23:00 | 413 | თურქეთი-ბოსნია | 1.10 | 6.70 | 14.00 | 1.00 | 1.01 | 4.53 |
| 23:00 | 415 | ესპანეთი-ჩრდ ირლანდია | 1.30 | 4.20 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.86 |
| 23:00 | 416 | ესპანეთი-ჩრდ ირლანდია 0:1 | 1.85 | 3.50 | 2.80 | | | |
| 23:00 | 417 | დანია-ისლანდია | 1.25 | 5.00 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.27 |
| 23:00 | 418 | დანია-ისლანდია 0:1 | 1.80 | 3.50 | 3.00 | | | |
| 23:00 | 419 | შვედეთი-ლატვია | 1.20 | 5.30 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.46 |
| 23:00 | 420 | შვედეთი-ლატვია 0:1 | 1.60 | 3.60 | 3.80 | | | |
| 23:15 | 421 | უნგრეთი-საბერძნეთი | 2.90 | 3.10 | 2.20 | 1.49 | 1.25 | 1.28 |
| 23:30 | 422 | იტალია-ფარერები | 1.01 | 11.00 | 35.00 | 1.00 | 1.00 | 8.36 |
| 23:30 | 424 | უკრაინა-საფრანგეთი | 3.20 | 3.10 | 2.10 | 1.57 | 1.26 | 1.25 |
| 23:30 | 425 | გერმანია-უელსი | 1.20 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.42 |
| 23:30 | 426 | გერმანია-უელსი 0:1 | 1.60 | 3.60 | 3.65 | | | |
| 23:30 | 427 | სან მარინო-სლოვაკეთი | 24.00 | 7.50 | 1.05 | 5.71 | 1.00 | 1.00 |
| 23:45 | 429 | პორტუგალია-ფინეთი | 1.30 | 4.20 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.81 |
| 23:45 | 430 | პორტუგალია-ფინეთი 0:1 | 1.90 | 3.40 | 2.90 | | | |
| 23:45 | 431 | ინგლისი-ხორვატია | 1.45 | 3.20 | 9.20 | 1.00 | 1.25 | 2.37 |
| 23:45 | 433 | ანდორა-რუსეთი | 35.00 | 14.00 | 1.01 | 10.00 | 1.00 | 1.00 |
| 23:45 | 442 | სერბეთი-პოლონეთი | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| | | ეჩ. შესარჩევი მატჩები(21) | | | | | | |
| | | 20 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 333 | პორტუგალია(21)-ინგლისი(21) | 2.40 | 2.90 | 2.80 | 1.31 | 1.29 | 1.42 |
| 21:00 | 334 | ნორვეგია(21)-ესტონეტი(21) | 1.18 | 5.30 | 10.00 | 1.00 | 1.05 | 3.46 |
| 21:15 | 335 | დანია(21)-სლოვენია(21) | 1.30 | 4.20 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.69 |
| 16:30 | 336 | კვიპროსი(21)-ავსტრია(21) | 4.80 | 3.40 | 1.60 | 1.99 | 1.20 | 1.08 |
| 23:00 | 337 | ბელგია(21)-ისლანდია(21) | 1.45 | 3.40 | 5.70 | 1.01 | 1.15 | 2.12 |
| 20:30 | 338 | ბელარუსი(21)-სერბეთი(21) | 2.55 | 3.20 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| 22:45 | 339 | ლუქსემბურგი(21)-გერმანია(21) | 25.00 | 8.50 | 1.03 | 6.34 | 1.00 | 1.00 |
| 23:30 | 340 | ჩრდ. ირლანდია(21)-მოლდოვა(21) | 1.45 | 3.50 | 5.80 | 1.02 | 1.15 | 2.18 |
| 17:30 | 341 | ლიხტენშტაინი(21)-სომხეთი(21) | 5.60 | 4.00 | 1.40 | 2.33 | 1.12 | 1.03 |
| 17:00 | 342 | მალტა(21)-ბოსნია(21) | 4.80 | 3.60 | 1.55 | 2.05 | 1.17 | 1.08 |
| 23:00 | 343 | ირლანდია(21)-ბულგარეთი(21) | 2.05 | 3.10 | 3.00 | 1.23 | 1.21 | 1.52 |
| 23:45 | 348 | უელსი(21)-საფრანგეთი(21) | 5.50 | 3.50 | 1.50 | 2.13 | 1.17 | 1.04 |
| | | 21 ნოემბერი | | | | | | |
| 14:00 | 344 | აზერბაიჯანი(21)-ხორვატია(21) | 9.50 | 5.20 | 1.20 | 3.36 | 1.06 | 1.00 |
| 17:00 | 345 | ფარერები(21)-იტალია(21) | 18.00 | 9.00 | 1.03 | 6.00 | 1.00 | 1.00 |
| 21:00 | 346 | უკრაინა(21)-ჩეხეთი(21) | 2.25 | 2.90 | 3.10 | 1.26 | 1.30 | 1.49 |
| 20:30 | 347 | ფინეთი(21)-ლიტვა(21) | 1.27 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.11 | 3.00 |
| 18:15 | 349 | საბერძნეთი(21)-ალბანეთი(21) | 1.20 | 5.20 | 9.00 | 1.00 | 1.05 | 3.29 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 20 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 435 | ბორმუთი-ბაროუ | 1.30 | 4.20 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.69 |
| 23:45 | 436 | ბრაიტონი-ჩელტენემი | 1.60 | 3.30 | 5.20 | 1.07 | 1.22 | 2.01 |
| 23:45 | 437 | როვერსი-ლეიტონი | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 23:45 | 438 | გრიმსბი-კარლაილი | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |
| 23:45 | 439 | ლიდსი-ჰერეფორდი | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |
| 23:45 | 440 | ნორთჰემპტონი-დარლინგტონი | 1.85 | 3.20 | 3.50 | 1.17 | 1.21 | 1.67 |
| 23:45 | 441 | როტერჰემი-ფორესტ გრინი | 1.55 | 3.40 | 5.30 | 1.06 | 1.19 | 2.07 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 20 ნოემბერი | | | | | | |
| 21:00 | 560 | ტიმრე-მოდო | 1.95 | 4.10 | 2.40 | 1.32 | 1.07 | 1.51 |
| 21:00 | 561 | ლულეო-ლინჩიოპინგი | 2.20 | 4.00 | 2.20 | 1.41 | 1.10 | 1.41 |
| 21:00 | 562 | ფრიოლუნდა-აიკ | 1.50 | 4.30 | 3.50 | 1.11 | 1.04 | 1.92 |
| | | ჰოკეი. ფინეთი | | | | | | |
| | | 20 ნოემბერი | | | | | | |
| 20:30 | 578 | ლუკო-კალპა | 1.25 | 4.60 | 5.50 | 1.00 | 1.01 | 2.50 |
| 20:30 | 579 | ესპოო-ტაპარა | 1.85 | 4.20 | 2.50 | 1.28 | 1.06 | 1.56 |
| 20:30 | 580 | ილვესი-ჰელსინკი | 1.90 | 4.00 | 2.50 | 1.28 | 1.07 | 1.53 |
| 20:30 | 581 | კერპეტი-ტურკუ | 1.40 | 4.30 | 4.50 | 1.05 | 1.06 | 2.19 |
| | | 21 ნოემბერი | | | | | | |
| 20:30 | 582 | ესეტი-იოკერიტი | 2.90 | 4.20 | 1.70 | 1.71 | 1.07 | 1.21 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 20 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 596 | უსტი-ტრჟინეცი | 2.40 | 4.00 | 2.00 | 1.50 | 1.09 | 1.33 |
| 19:00 | 597 | კლადნო-ლიტვინოვი | 2.00 | 4.10 | 2.30 | 1.34 | 1.06 | 1.47 |
| 19:00 | 599 | პლზენი-ზლინი | 1.80 | 4.10 | 2.60 | 1.25 | 1.06 | 1.59 |
| 19:00 | 600 | ბუდეიოვიცე-ზნოიმო | 1.40 | 4.20 | 4.50 | 1.04 | 1.06 | 2.17 |
| 19:00 | 601 | სპარტა-კარლოვი ვარი | 1.65 | 4.30 | 3.00 | 1.19 | 1.06 | 1.76 |
| | | 21 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 598 | პარდუბიცე-ვიტკოვიცე | 1.65 | 4.20 | 3.00 | 1.18 | 1.06 | 1.75 |
| 19:00 | 602 | სლავია-ლიბერეცი | 1.80 | 4.20 | 2.50 | 1.25 | 1.04 | 1.56 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 20 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 616 | ჟილინა-კეჟმაროკი | 1.85 | 4.10 | 2.50 | 1.27 | 1.06 | 1.55 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 617 | მიკულაში-მარტინი | 2.50 | 4.00 | 2.00 | 1.53 | 1.11 | 1.33 |
| 19:00 | 618 | პოპრადი-ზვოლენი | 1.80 | 4.20 | 2.50 | 1.25 | 1.04 | 1.56 |
| 19:00 | 619 | ნიტრა-ტრენჩინი | 2.50 | 4.10 | 1.85 | 1.55 | 1.06 | 1.27 |
| 19:00 | 620 | სლოვანი-კოშიცე | 1.60 | 4.20 | 3.00 | 1.15 | 1.04 | 1.75 |
| | | ჰოკეი. გერმანია | | | | | | |
| | | 20 ნოემბერი | | | | | | |
| 22:30 | 631 | კიოლნი-სტრაუბინგი | 1.20 | 4.50 | 5.00 | 1.00 | 1.00 | 2.36 |
| 22:30 | 632 | კრეფელდი-დუისბურგი | 1.35 | 4.60 | 4.80 | 1.04 | 1.05 | 2.34 |
| 22:30 | 634 | ვოლფსბურგი-იზერლონი | 2.40 | 4.10 | 1.95 | 1.51 | 1.07 | 1.32 |
| 22:30 | 635 | აუგსბურგი-აისბარენი | 2.50 | 4.10 | 1.80 | 1.55 | 1.04 | 1.25 |
| 22:30 | 636 | ინგოლშტადი-დიუსელდორფი | 2.00 | 4.10 | 2.40 | 1.34 | 1.09 | 1.51 |
| 22:30 | 637 | ფრანკფურტი-ჰანოვერი | 1.65 | 4.30 | 3.20 | 1.19 | 1.08 | 1.83 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია | | | | | | |
| | | 20 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 650 | ამბრი-ციურიხი | 2.15 | 4.00 | 2.20 | 1.39 | 1.08 | 1.41 |
| 19:00 | 651 | ბაზელი-ლუგანო | 2.80 | 4.10 | 1.75 | 1.66 | 1.07 | 1.22 |
| 19:00 | 652 | დავოსი-ბერნი | 2.00 | 4.10 | 2.40 | 1.34 | 1.09 | 1.51 |
| 19:00 | 653 | სერვეტი-ფრიბურგი | 1.50 | 4.20 | 3.30 | 1.10 | 1.03 | 1.84 |
| 19:00 | 654 | ლანგნაუ-რაპერსვილი | 1.85 | 4.10 | 2.50 | 1.27 | 1.06 | 1.55 |
| 19:00 | 655 | ცუგი-კლოტენი | 1.90 | 4.10 | 2.50 | 1.29 | 1.07 | 1.55 |
| | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | | |
| | | 20 ნოემბერი | | | | | | |
| 16:00 | 675 | მაგნიტოგორსკი-სიბირი | 1.12 | 5.00 | 6.00 | 1.00 | 1.00 | 2.72 |
| 16:00 | 676 | ტრაქტორი-ნოვოკუზნეცკი | 1.60 | 4.40 | 2.80 | 1.17 | 1.01 | 1.71 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10400 | სომხეთი-ყაზახეთი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10401 | რუმინეთი-ალბანეთი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10403 | კვიპროსი-ჩეხეთი | 5.10 | 2.10 | 2.05 | 1.48 | 1.46 | 1.03 |
| 10405 | აზერბაიჯანი-ბელგია | 5.10 | 2.10 | 2.05 | 1.48 | 1.46 | 1.03 |
| 10407 | ისრაელი-მაკედონია | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10409 | ბელარუსი-ჰოლანდია | 5.10 | 2.10 | 2.05 | 1.48 | 1.46 | 1.03 |
| 10410 | სლოვენია-ბულგარეთი | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10415 | ესპანეთი-ჩრდ ირლანდია | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10417 | დანია-ისლანდია | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10419 | შვედეთი-ლატვია | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10421 | უნგრეთი-საბერძნეთი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10424 | უკრაინა-საფრანგეთი | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |
| 10425 | გერმანია-უელსი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10429 | პორტუგალია-ფინეთი | 1.60 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.31 | 1.76 |
| 10431 | ინგლისი-ხორვატია | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10442 | სერბეთი-პოლონეთი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11400 | სომხეთი-ყაზახეთი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11401 | რუმინეთი-ალბანეთი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11403 | კვიპროსი-ჩეხეთი | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11405 | აზერბაიჯანი-ბელგია | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11407 | ისრაელი-მაკედონია | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11409 | ბელარუსი-ჰოლანდია | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11410 | სლოვენია-ბულგარეთი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11415 | ესპანეთი-ჩრდ ირლანდია | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11417 | დანია-ისლანდია | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11419 | შვედეთი-ლატვია | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11421 | უნგრეთი-საბერძნეთი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11424 | უკრაინა-საფრანგეთი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11425 | გერმანია-უელსი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11429 | პორტუგალია-ფინეთი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11431 | ინგლისი-ხორვატია | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11442 | სერბეთი-პოლონეთი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
### (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12400 | სომხეთი-ყაზახეთი | 1.60 | 2.00 |
| 12401 | რუმინეთი-ალბანეთი | 1.90 | 1.70 |
| 12403 | კვიპროსი-ჩეხეთი | 1.90 | 1.60 |
| 12405 | აზერბაიჯანი-ბელგია | 1.70 | 1.90 |
| 12407 | ისრაელი-მაკედონია | 1.70 | 1.90 |
| 12409 | ბელარუსი-ჰოლანდია | 1.70 | 1.90 |
| 12410 | სლოვენია-ბულგარეთი | 1.70 | 1.90 |
| 12411 | მალტა-ნორვეგია | 2.40 | 1.40 |
| 12413 | თურქეთი-ბოსნია | 2.10 | 1.40 |
| 12415 | ესპანეთი-ჩრდ ირლანდია | 2.00 | 1.55 |
| 12417 | დანია-ისლანდია | 2.00 | 1.55 |
| 12419 | შვედეთი-ლატვია | 2.00 | 1.60 |
| 12421 | უნგრეთი-საბერძნეთი | 1.70 | 1.90 |
| 12424 | უკრაინა-საფრანგეთი | 1.55 | 2.00 |
| 12425 | გერმანია-უელსი | 2.20 | 1.50 |
| 12429 | პორტუგალია-ფინეთი | 1.70 | 1.90 |
| 12431 | ინგლისი-ხორვატია | 1.50 | 2.00 |
| 12442 | სერბეთი-პოლონეთი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს
### (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13400 | სომხეთი-ყაზახეთი | 1.80 | 1.70 |
| 13401 | რუმინეთი-ალბანეთი | 1.90 | 1.70 |
| 13403 | კვიპროსი-ჩეხეთი | 1.70 | 1.80 |
| 13405 | აზერბაიჯანი-ბელგია | 1.70 | 1.90 |
| 13407 | ისრაელი-მაკედონია | 1.80 | 1.70 |
| 13409 | ბელარუსი-ჰოლანდია | 1.70 | 1.85 |
| 13410 | სლოვენია-ბულგარეთი | 1.70 | 1.85 |
| 13411 | მალტა-ნორვეგია | 2.00 | 1.55 |
| 13413 | თურქეთი-ბოსნია | 2.10 | 1.45 |
| 13415 | ესპანეთი-ჩრდ ირლანდია | 1.70 | 1.85 |
| 13417 | დანია-ისლანდია | 1.85 | 1.70 |
| 13419 | შვედეთი-ლატვია | 1.90 | 1.70 |
| 13421 | უნგრეთი-საბერძნეთი | 1.70 | 1.85 |
| 13424 | უკრაინა-საფრანგეთი | 1.70 | 1.90 |
| 13425 | გერმანია-უელსი | 2.00 | 1.55 |
| 13429 | პორტუგალია-ფინეთი | 1.90 | 1.70 |
| 13431 | ინგლისი-ხორვატია | 1.80 | 1.70 |
| 13442 | სერბეთი-პოლონეთი | 1.70 | 1.80 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14400 | სომხეთი-ყაზახეთი | 1.30 | 2.50 |
| 14403 | კვიპროსი-ჩეხეთი | 2.40 | 1.45 |
| 14405 | აზერბაიჯანი-ბელგია | 2.40 | 1.45 |
| 14407 | ისრაელი-მაკედონია | 1.20 | 2.60 |
| 14409 | ბელარუსი-ჰოლანდია | 2.50 | 1.30 |
| 14410 | სლოვენია-ბულგარეთი | 1.90 | 1.90 |
| 14415 | ესპანეთი-ჩრდ ირლანდია | 1.08 | 2.90 |
| 14417 | დანია-ისლანდია | 1.08 | 2.90 |
| 14419 | შვედეთი-ლატვია | 0.00 | |
| 14421 | უნგრეთი-საბერძნეთი | 2.00 | 1.80 |
| 14424 | უკრაინა-საფრანგეთი | 2.10 | 1.75 |
| 14425 | გერმანია-უელსი | 0.00 | |
| 14429 | პორტუგალია-ფინეთი | 1.08 | 2.90 |
| 14431 | ინგლისი-ხორვატია | 1.20 | 2.60 |
| 14442 | სერბეთი-პოლონეთი | 1.45 | 2.40 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15400 | სომხეთი-ყაზახეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15403 | კვიპროსი-ჩეხეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15405 | აზერბაიჯანი-ბელგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15407 | ისრაელი-მაკედონია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15409 | ბელარუსი-ჰოლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15410 | სლოვენია-ბულგარეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15415 | ესპანეთი-ჩრდ ირლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15417 | დანია-ისლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15419 | შვედეთი-ლატვია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15421 | უნგრეთი-საბერძნეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15424 | უკრაინა-საფრანგეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15429 | პორტუგალია-ფინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15431 | ინგლისი-ხორვატია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15442 | სერბეთი-პოლონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16400 | სომხეთი-ყაზახეთი | 1.22 | 3.40 |
| 16401 | რუმინეთი-ალბანეთი | 1.02 | 6.70 |
| 16403 | კვიპროსი-ჩეხეთი | 3.30 | 1.25 |
| 16405 | აზერბაიჯანი-ბელგია | 3.30 | 1.25 |
| 16407 | ისრაელი-მაკედონია | 1.12 | 4.60 |
| 16409 | ბელარუსი-ჰოლანდია | 3.30 | 1.25 |
| 16410 | სლოვენია-ბულგარეთი | 1.80 | 1.80 |
| 16415 | ესპანეთი-ჩრდ ირლანდია | 1.08 | 5.00 |
| 16417 | დანია-ისლანდია | 1.05 | 5.70 |
| 16419 | შვედეთი-ლატვია | 1.02 | 6.70 |
| 16421 | უნგრეთი-საბერძნეთი | 2.05 | 1.65 |
| 16424 | უკრაინა-საფრანგეთი | 2.20 | 1.50 |
| 16425 | გერმანია-უელსი | 1.02 | 6.70 |
| 16429 | პორტუგალია-ფინეთი | 1.08 | 5.00 |
| 16431 | ინგლისი-ხორვატია | 1.12 | 4.60 |
| 16442 | სერბეთი-პოლონეთი | 1.23 | 3.60 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17400 | სომხეთი-ყაზახეთი | 1.85 | 1.95 |
| 17401 | რუმინეთი-ალბანეთი | 1.85 | 1.95 |
| 17403 | კვიპროსი-ჩეხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17405 | აზერბაიჯანი-ბელგია | 1.85 | 1.95 |
| 17407 | ისრაელი-მაკედონია | 1.85 | 1.95 |
| 17409 | ბელარუსი-ჰოლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17410 | სლოვენია-ბულგარეთი | 1.85 | 1.95 |
| 17415 | ესპანეთი-ჩრდ ირლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17417 | დანია-ისლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17419 | შვედეთი-ლატვია | 1.85 | 1.95 |
| 17421 | უნგრეთი-საბერძნეთი | 1.85 | 1.95 |
| 17424 | უკრაინა-საფრანგეთი | 1.85 | 1.95 |
| 17425 | გერმანია-უელსი | 1.85 | 1.95 |
| 17429 | პორტუგალია-ფინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17431 | ინგლისი-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17442 | სერბეთი-პოლონეთი | 1.85 | 1.95 |




# ახალი ქართველი ნუცუბიძე უმაღლესში ავსტრალიიდან ჩაირიცხა

**ქართველი** ძიუდოისტების ინდივიდუალური თუ გუნდური წარმატებები მეტყველებს, რომ ჩვენს ძიუდოს მსოფლიო იცნობს და პატივსაც სცემს. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ყველა დიდი ტურნირის სამივე სინჯის მედლები მოიგო საქართველოს ნაკრებმა, ოღონდ ამ პერიოდში არც ერთ მსოფლიოს ჩემპიონატსა და ოლიმპიურ თამაშებზე არ გასულა ტატამზე ქართველი მსაჯი. საამისოდ უმაღლესი წოდება იყო საჭირო, რომელიც მსოფლიოს ძიუდოს კავშირმა ქართველებისთვის 2006 წლამდე ვერაფრით ვერ გაიმეტა.

შარშან ოლიმპიური კატეგორიის მსაჯი მერაბ ლოსეურაშვილი გახდა, მაგრამ ქართული ოლიმპიური დებიუტი მაინც გაურკვეველი ვადით გადაიდო. იმ დროს პეკინის ლიცენზიები უკვე განაწილებული იყო, ხოლო 2012 წლის ოლიმპიადისთვის ქართველ რეფერის სავარაუდოდ ასაკი აღარ მისცემს მსაჯობის უფლებას.

მერაბ ლოსეურაშვილი აქამდე ერთადერთი უმაღლესწოდებიანი მსაჯი იყო კავკასიაში. ამ დღეებში კი ოლიმპიური კატეგორია კიდევ ერთ ქართველს ვალოდია ნუცუბიძეს მიენიჭა. მან სპეციალური გამოცდა ავსტრალიურ პერტში ჩააბარა.

„გამოცდა ორ ეტაპად ჩატარდა — გვითხრა ნუცუბიძემ — პირველი დღე თეორიას დაეთმო, შემდეგ კი ოკეანიის ღია პირველობაზე გვამსაჯეს. შემფასებლები კონტინენტების მსაჯთა დირექტორები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ევროპისა და აფრიკის შეფები რატომღაც არ ჩამოვიდნენ. უმაღლესი კატეგორიისთვის ის თოთხმეტი მსაჯი ვიბრძოდით, რომლებიც კანდიდატებად რეიტინგების გადალახვის შემდეგ შეგვარჩიეს. ამ თოთხმეტიდან საბოლოოდ დადებითი პასუხი მხოლოდ რვამ მივიღეთ. აქედან ოთხი ევროპელებმა — ქართველმა, გერმანელმა, იტალიელმა და ნორვეგიელმა. ჩაჭრილთა შორის კი იაპონელი მსაჯი აღმოჩნდა, რაც ცოტა მოულოდნელიც იყო".

2008 წლის ოლიმპიური თამაშების ძიუდოს მსაჯთა სია შარშან დამტკიცდა, ხოლო 2012 წლის შემადგენლობა სამ წელიწადში გამოცხადდება და წესით, მასში ვალოდია ნუცუბიძეც უნდა მოხვდეს. იქამდე კი მას და მერაბ ლოსეურაშვილს ალბათ 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ტატამზეც მიიწვევენ.

დაბოლოს, პერტის გამოცდების შედეგების გათვალისწინებით, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ოლიმპიური კატეგორია მხოლოდ შვიდ მსაჯს აქვს მინიჭებული.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# იტალიამ ფარქვეშა ცქიტიშვილი ირწმუნა

**გასულ კვირაში ისევ ისახელა თავი ნიკოლოზ ცქიტიშვილმა, რომელიც ნამდვილად აღარ ხუმრობს და მთელ სერია ფ-ში ანგარიშგასაწევ ძალად ითვლება. „ცქიტო" „ტერამოს", „ტერამო" კი იტალიის ჩემპიონატის ლიდერებში გაერია და ეს ძირითადად ქართველი ცენტრის დამსახურებაა. ცქიტიშვილი გასულ კვირაში მართალს ამბობდა „სარბიელთან" ინტერვიუში — ფარქვეშ თამაში გამიადვილდაო. როგორც გამოჩნდა, ნიკა ცენტრის პოზიციიდან უფრო სახიფათოა მეტოქეთათვის: იტალიის ჩემპიონატის გასულ ტურში მან ძალზე შედეგიანად ითამაშა...**



## იტალია

„ტერამო" უშუალო კონკურენტ „ბიელას" მასპინძლობდა და ამ გამარჯვებას ორმაგი დატვირთვა ჰქონდა. ცქიტიშვილის გუნდმა ოვერტაიმში 111:101 მოიგო და სწორედ „ბიელასთან" და კიდევ სამ გუნდთან იყოფს ცხრილში 3-7 ადგილებს.

ტერამოელებს კლეი ტაკერმა ულიდერა, რომელმაც 40 წუთში 35 ქულა ჩააგდო, თუმცა ჩვენ ცქიტიშვილის გარჯას გამოვარჩევთ, რომელმაც ტაკერზე არანაკლები დახმარება გაუწია თავისიანებს.

ნიკამ 27 წუთი ითამაშა და 25 ქულას მოუკრა თავი. აქედან 12 ქულა საჯარიმოს ხაზიდან მიითვალა, რას იმის მანიშნებელია, რომ მასზე გამუდმებით ჯარიმდებოდნენ. საინტერესო სტატისტიკა: ცქიტიშვილზე მეტოქემ 7-ჯერ დაარღვია თამაშის წესი და ის ყველა შემთხვევაში საჯარიმოს ხაზზე დადგა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ნიკაზე სროლის მომენტში, სავარაუდოდ, ფარქვეშ ჯარიმდებოდნენ.

ჩანს, ცქიტიშვილს გვარიანად წაადგა ფორვარდობიდან ცენტრის პოზიციაზე აწევა, მისი შეჩერება ფარქვეშ ნებისმიერი გუნდისთვის პრობლემას წარმოადგენს.

25 ქულასთან ერთად ნიკამ 6 მოხსნა და 1 ჩაჭრაც მიითვალა. საინტერესოა, რომ მან ერთხელ სამქულიანის სროლაც მოახერხა და, რაც მთავარია, წარმატებულად.

## რუსეთი

ვლადიმერ ბოისას „სპარტაკ-პრიმორიეს" სულ ცოტა დააკლდა გვარიანი სენსაციის გამოსაცხობად. ვლადივოსტოკელები მოსკოვში „დინამოს" ეთამაშნენ და რუსეთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის წამოქცევამდე სულ ცოტა დააკლდათ.

ბოისამ „დინამოს" ვარსკვლავების წინააღმდეგ 22 წუთი ითამაშა და 9 ქულას, 5 მოხსნას და 2 პასს მოუყარა თავი. მან ყველა მანძილიდან სროლას გაუსინჯა გემო, თუმც გაცილებით შედეგიანი სამქულიანების შესრულებისას იყო: 4-დან 2 ჩააგდო.

„პრიმორიე" მთელი თამაში უძალიანდებოდა „დინამოს", თუმც ბოლოში აღარ გაუმართლა და 81:88 დამარცხდა.

## უკრაინა

უკრაინის ჩემპიონატის მორიგ ტურში „ბკ კიევმა" „სტროიტელი" რომ დაამარცხა, მანუჩარ მარკოიშვილმა 19 წუთში 12 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ის 2 ქულით ჩამორჩა ამ მატჩის ორ თანაგუნდელ ბომბარდირს — იუჯინ ჯეტერსა და უორენ დევისს.

მარკოიშვილმა გასულ კვირაში ულებ-ის თასზეც ითამაშა. მისმა გუნდმა რიგის ასკ დაამარცხა. ქართველი უკანახაზელის ანგარიშზე მაშინაც 12 ქულა იყო. „ბკ კიევი" ორიდან ორი გამარჯვებით ჯგუფის ლიდერია.

## ესპანეთი

ტაირონ ელისმა აარონ მაილსთან ერთად კი ულიდერა „კახასოლს", მაგრამ ამ აუტსაიდერმა გუნდმა მაინც წააგო „მენორკასთან" და პრიმერადივიზიონის გასავარდნთა ზონას თავი ვერ დააღწია. ელისმა 37 წუთში 18 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი მიითვალა.

## ესტონეთი

ორი ტყუპისცალივით თამაში გამოაცხო გიორგი ცინცაძემ ესტონეთის ჩემპიონატში. მისმა „როკმა" ჯერ ტტუ დაამარცხა 90:56, გასულ კვირას კი „ტარვასსაც" იოლად მოუგრიხა კისერი (108:71). საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა ორივე შეხვედრაში 10-10 ქულა დააგროვა, თუმც „ტრავასთან" უფრო იყოჩაღა და 6 პასიც მიითვალა.

## ნბა

გასულ კვირაში მნიშვნელოვანი ამბები დატრიალდა ზაზა ფაჩულიას თავს. „ატლანტა ჰოქსის" ცენტრმა ტრავმა მოიშუშა და ერთ კვირაში 3 მატჩში მიიღო მონაწილეობა. თუმცა ზაზა ჯერ ვერაა სასურველ ფორმაში და მოედანზე ეპიზოდურად ჩნდება. ფაჩულიამ ყველაზე ყოჩაღად „სიეტლის" წინააღმდეგ ითამაშა, რომელსაც 22 წუთში 14 ქულა ჩაუგდო და 6 ბურთი მოუხსნა. „შარლოტთან" 6 ქულას დასჯერდა, ხოლო „მილუოკისთან" ოდენ 4 შეაკოწიწა.

**ირაკლი პერტაია**

# მსაჯი შეცდა, ფედერაციას

**ჩემი** გაოცება გამოიწვია გადაწყვეტილებამ, რომელიც ამასწინათ იქნა გამოტანილი „ავიამშენი — თსუ-ს მატჩის არბიტრების მიმართ.

იმ შეხვედრის კომისარი ვიყავი და ვაფიქსირებ, რომ ერთ-ერთმა მსაჯმა, დავით არეშიძემ უკანასკნელ წუთებზე არ დააფიქსირა მნიშვნელოვანი მომენტი. ამაზე განაწყენებულმა მწვრთნელებმა მატჩის შემდეგ მსაჯზე იერიში მიიტანეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. საბოლოოდ მწვრთნელებს სადისციპლინო კომისიამ საკადრისი სასჯელი გამოუტანა. რაც შეეხება მსაჯს, მის გადაწყვეტილებას შედეგზე გავლენა რომ არ მოეხდინა, ეს საკითხი მსჯელობის საგნად არც იქცეოდა. მატჩი დაძაბული იყო. ჩემი შეხედულებით, დავით არეშიძეს არავითარი მიკერძოება არ გამოუვლენია, ხოლო ის შეცდომა ან შეხვედრის სირთულიდან გამომდინარე, ან პრაქტიკის უქონლობის გამო დაუშვა.

მსაჯებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი პირველ რიგში კომისრის და მსაჯთა ასოციაციის მსჯელობის საკითხი უნდა გახდეს, რომელი ორგანიზაციის ხელმძღვანელიც გახლავართ.

ბოლო 35 წლის მანძილზე ამ საქმეში არც ერთი კონფლიქტური საკითხის განხილვას უჩემოდ არ ჩაუვლია. ისმის კითხვა: არეშიძე-კუპატაძის დასჯის გადაწყვეტილება პირველ რიგში მსაჯთა ასოციაციას უნდა მიეღო, თუ არა? რა ხდება, ჩვენი კომპეტენცია საკმარისი არ არის? თუ ამ გადაწყვეტილების მიმღები ვერ ხვდება, ვის უნდა მიეღო იგი, მაშინ მოვითხოვ ფედერაციის შეკრებას და ამ გადაწყვეტილების განხილვას.

ჩნდება კიდევ არაერთი კითხვა. მაგალითად, თუ არეშიძემ დაუშვა — დაშვებასა და შეცდომას შორის დიდი სხვაობაა, შეფასება სწორედ მის მოქმედებას უნდა მიეცეს. რატომ დაისაჯა მეორე არბიტრი მაკა კუპატაძე, რომლის ზონაშიც ეს არ მომხდარა?

***მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტი,***
***საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი,***
***საქართველოს პარლამენტის წევრი,***
***მურმან ქურიძე***




# სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

2007 წლის 21 დეკემბერს გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ, 20 დეკემბრამდე გაიაროთ წინასწარი რეგისტრაცია. სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციაში გაწევრიანების მსურველებს ვთხოვთ, ასევე 20 დეკემბრამდე წარმოადგინონ შესაბამისი საბუთები.

ველით თქვენს წინადადებებს კონფერენციის დღის წესრიგთან დაკავშირებით. წესდების შესაბამისად, ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებში ასარჩევად კანდიდატურები შეგიძლიათ წარმოადგინოთ 6 დეკემბრამდე.

თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 49 ა. ტელეფონი: 42 12 88, 23 26 34. მობ. 877 48 88 44.

***სსჟა-ს აღმასკომი***

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კელტებმა ჯადო ვერ გატეხეს

18 ნოემბერი

**ორლანდო 104:102 ბოსტონი**
ორლანდო: ჰოვარდი (24), ლუისი (22), ნელსონი (18), თურქოღლუ (16)
ბოსტონი: პირსი (26), ალენი (19), რონდო (18), გარნეტი (14 ქულა, 11 მოხსნა)

**ლეიკერსი 106:78 ჩიკაგო**
ლეიკერსი: ბრაიანტი (18), ბინამი (14 ქულა, 10 მოხსნა), ფარმასი (14)
ჩიკაგო: გორდონი (20), ნოჩიონი (14)

**ტორონტო 100:106 გოლდენ სტეიტი**
ტორონტო: ფორდი (29 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა), ბარნანი (12)
გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (17), დევისი (16 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), აზუბუკე (16), ბიედრინში (15 ქულა, 14 მოხსნა)

**საკრამენტო 105:95 დეტროიტი**
საკრამენტო: უდრიჰი (23), მარტინი (19), არტესტი (16), მილერი (15)
დეტროიტი: პრინსი (19), ვოლესი (17 ქულა, 12 მოხსნა), ჰამილტონი (16), ბილაფსი (14)

„ბოსტონ სელტიქსიც" დამარცხდა. სხვებზე გვიან, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მასაც გამოუჩნდა მჯობნი. ზედიზედ 8 თამაშის მოგებ „კელტებს" მარცხი ორლანდოელმა „ჯადოებმა" აგემეს.

„ბოსტონი" გადაღლილი და გამოფიტული ჩანდა, „ორლანდო" კი საკუთარ თავში დარწმუნებული და მოტივირებული. მასპინძლები თავიდანვე შეუდგნენ სტუმრების დამუშავებას, პირველი მეოთხედი 28:17 მოუგეს, მეორეში კი 20 ქულითაც გაექცნენ. ბოსტონელები ამ სეზონში პირველად აღმოჩნდნენ ასეთ სიტუაციაში. მისი ლიდერები ვერაფერს აზერხებდნენ, მხოლოდ პოლ პირსი თუ ფაფხურობდა. ყველას ისევ უსახელო გამთამაშებელი რაჯონ რონდო სჯობდა, რომელიც „სელტიქსში" ისეა, როგორც ლილიპუტი გოლიათების ქვეყანაში და მაინც აზერხებს თავისი სიტყვის თქმას. მეორე 12-წუთეულში რონდომ 14 ქულა გააკეთა და თავისი გუნდი პირველივე ტაიმში განადგურებას გადაარჩინა. დიდი შესვენებიდან 17-ქულიანი ჩამორჩენით დაბრუნებული სტუმრები მესამე მეოთხედში გამოფხიზლდნენ, სხვაობას 10 ქულა ჩამოაჭრეს და გადამწყვეტი შტურმის მოწყობა ბოლო მეოთხედისთვის გადადეს. აქ რეი ალენი გამოფხიზლდა, ვისაც მანამდე 8 ქულა გაეკეთებინა, დასკვნით პერიოდში კი 11 გაახერხა. „ორლანდო" თითქოს იმანაც დააბნია, რომ „ბოსტონელთაგან" დიდი ტრიოს (გარნეტი — პირსი — ალენი) გარდა სხვებიც ახერხებდნენ ჩაგდებას — სათადარიგოებმა ედი ჰაუსმა და ჯეიმს პოუზიმ თითო სამქულიანი უწილადეს „ორლანდოს" და „ბოსტონი" პირველად დაწინაურდა — 88:87.

„ორლანდომ" შეძლო იმის დამტკიცება, რომ ერთი ტაიმის გუნდი არაა და სერიოზულ მეტოქესთან სერიოზული თამაშის მოგება შეუძლია. „მეჯიქის" თანაბრად დაბალანსებულმა ხუთეულმა მძლავრად ჩაატარა ბოლო წუთები. ჯამეერ ნელსონის და რიშარდ ლუისის წყვილი საჯარიმოების შემდეგ მასპინძლები საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე 103:97 დაწინაურდნენ. „ბოსტონმა" ამ ღრმულიდანაც შეძლო ამოსვლა, რეი ალენის სამქულიანის შემდეგ 103:102 მიუახლოვდა „ორლანდოს". საფინალო სირენამდე წამები რომ რჩებოდა, ლუისმა მასპინძლებს ქულა წაუმატა საჯარიმოთი და „ბოსტონს" რამდენიმე წამი დარჩა გადამწყვეტი სროლის მოსამზადებლად, მაგრამ ორლანდოელებმა თავი კარგად დაიცვეს და პოლ პირსს სამქულიანის სროლა ძალზე მოუხერხებელი სიტუაციიდან მოუხდა, ვერ ჩააგდო და მისი გუნდიც ასე დამარცხდა.

„ჩვენ არ ვართ იდეალურები — ამბობდა ნამატჩევს „ბოსტონის" ღიდვარსკვლავი კევინ გარნეტი — არც იმის ფიქრში ვიძინებდით და ვიღვიძებდით, რომ რეგულარული ჩემპიონატს 82-0 შედეგით დავამთავრებდით. კარგი ისაა, რომ ჩვენ მტკიცე ხასიათი გვაქვს, ვთამაშობთ მონდომებით და ერთად, ოღონდ არა იდეალურად".

პოლ პირსმა კი „ორლანდო" შეაქო, ჟურნალისტებს უთხრა, დღეს თქვენ აღმოსავლეთის ორი საუკეთესო გუნდის თამაში იხელეთო.

რაც შეეხება დანარჩენ მატჩებს, სახსენებელია „საკრამენტოს" მიერ „დეტროიტის" ძლევა. „მეფეებს" დაუბრუნდათ უხიაგი ფორვარდი რონ არტესტი, რომელიც ცნობილ მიზეზთა გამო დეტროიტელებს ცერად უყურებს და ახლაც სადებიუტო მატჩში 16 ქულა ჩაუგდო მათ.

**ძოტე ყორშია**

| აღმოსავლეთი | | | |
| --- | --- | --- | --- |
| **ატლანტიკა** | | | |
| ბოსტონი | 8 | 1 | 88,9 |
| ტორონტო | 5 | 5 | 50,0 |
| ნიუ ჯერსი | 4 | 6 | 40,0 |
| ფილადელფია | 3 | 6 | 33,3 |
| ნიუ იორკი | 2 | 7 | 22,2 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 6 | 4 | 60,0 |
| კლივლენდი | 5 | 5 | 50,0 |
| მილუოკი | 4 | 4 | 50,0 |
| ინდიანა | 4 | 6 | 40,0 |
| ჩიკაგო | 2 | 7 | 22,2 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ორლანდო | 9 | 2 | 81,8 |
| შარლოტი | 5 | 4 | 55,6 |
| ვაშინგტონი | 4 | 5 | 16,7 |
| ატლანტა | 2 | 4 | 44,4 |
| მაიამი | 2 | 8 | 20,0 |

| დასავლეთი | | | |
| --- | --- | --- | --- |
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| ნიუ ორლეანი | 9 | 2 | 81,8 |
| სან ანტონიო | 8 | 2 | 80,0 |
| დალასი | 7 | 2 | 77,8 |
| ჰიუსტონი | 6 | 5 | 54,5 |
| მემფისი | 2 | 7 | 22,2 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| დენვერი | 7 | 3 | 70,0 |
| იუტა | 7 | 4 | 63,6 |
| პორტლენდი | 4 | 6 | 40,0 |
| სიეტლი | 2 | 9 | 18,2 |
| მინესოტა | 1 | 7 | 12,5 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 8 | 2 | 80,0 |
| ლეიკერსი | 6 | 3 | 66,7 |
| კლიპერსი | 5 | 4 | 55,6 |
| საკრამენტო | 4 | 6 | 40,0 |
| გოლდენ სტეიტი | 2 | 6 | 25,0 |






ზაზა ფაჩულიას ამერიკაში იცნობენ და აფასებენ. უკვე მეორე წელია, „ყველა ვარსკვლავის" შოუ-მატჩის საარჩევნო კომიტეტს აღმოსავლეთის გამორჩეულ ცენტრებში ჰყავს შეყვანილი შაკილ ონილის, დუაიტ ჰოვარდის, ბენ ვოლესის და სხვა გოლიათების გვერდით. სპორტის მოყვარულებო, ნუ დაიზარებთ, მოიმარჯვეთ „მაუსი" და თქვენი ხმა შეაწიეთ ნბა-ში შემორჩენილ ერთადერთ ქართველს. დარეგისტრირდით ნბა-ს ოფიციალურ ვებ-გვერდ **www.nba.com**-ზე და 2008 წლის ოლ სტარის სასტარტო ხუთეულების გამოსავლენ გამოკითხვაში აღმოსავლელ ცენტრებში

**მონიშნეთ ზაზა ფაჩულია**

ოლ სტარი 2008 წლის 17 თებერვალს ნიუ ორლეანში გაიმართება



# რევაზ ჭანტურიას სამი ფრონტი: მაკედონია, ევროთასი და ნაკრები

საქართველოს ნაკრებისა და მაკედონიური „მეტალურგის" მარჯვენა ფრთამ რევაზ ჭანტურიამ მორიგი გამორჩეული შეხვედრა ჩაატარა. ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასის მეორე ეტაპზე ქართველის „მეტალურგმა" შვედურ „სავეჰოფს" უმასპინძლა და 22:18 მოუგო. ჩვენებურმა ორი გოლი გაიტანა. როგორც ჩანს, მის გუნდს კარგი დროება უდგას — ახლახან მაკედონიის ჩემპიონატში უმნიშვნელოვანეს ჯახში მთავარი კონკურენტი „ვარდარი" დასცა და სატურნირო ცხრილს ოთხქულიანი ფორით ლიდერობს.
რეზოს გუშინ მაკედონიაში დავუკავშირდით და საკლუბოს გარდა სანაკრებო ამბებზეც ვკითხეთ

— ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. ძალიან რთული მეტოქე გვყავდა. თითქმის მთელი 60 წუთის მანძილზე ქულა ქულაში მიდიოდა შეხვედრა. გაქცევა ბოლოსღა შევძელით. ეს შედეგი მცირე უპირატესობას კი გვაძლევს, მაგრამ გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. „სავეჰოფი" მაინც სკანდინავიური გუნდია და კვირას ურთულესი დაპირისპირება გველის. თუმც ვნახოთ, თუ საკუთარი თამაში ვიპოვეთ, წარმატების მიღწევას შევძლებთ. მათი კოზირი კი საკუთარი კედლები იქნება. გულშემატკივარი ჩვენც მაგრად დაგვიდგა გვერდში, 2000 კაცი მოვიდა და ბოლომდე დაიხარჯა.

**— ახლახან „ვარდარს" დერბი მოუგეთ და ოთხი ქულით გაექეცით. იმ მატჩში თქვენც კარგად გაისარჯეთ, ამაზე რას გვეტყვით?**

— მაგარი თამაში იყო. „ვარდარს" გასვლაზე ვაჯობეთ. ჩვენი შეხვედრა ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მაკედონიაში, ახლაც ბლომად ქომაგი მოვიდა და იყო ჩხუბი, ბოთლების სროლა და ერთი ამბავი. წლეულს მათ გაორმაგებული მოტივაციით ვეთამაშებით, რადგან გასულ სეზონში ყველაფერი მოგვიგეს. მიხარია, რომ გამარჯვებაში წვლილი მეც შევიტანე. ჩემპიონობაზე სერიოზულად ვფიქრობთ და არც თასის დათმობას ვაპირებთ. სხვათა შორის, „ვარდარში" გასინჯვაზე მამია კობახიძე იმყოფებოდა. მათ ინსაიდი სჭირდებოდათ, რომელიც შორიდან ტყორცნას შესძლებს, მაგრამ რატომღაც არ დაიტოვეს. თან მამიას ტრავმამაც შეუშალა ხელი.

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ჩემპიონატიდან თუ შეუძლიათ ხელბურთელებს მაკედონიაში თამაში და თავის დამკვიდრება?**

— რამდენიმე მართლაც არის ისეთი, აქ რომ შეძლებს თამაშს. გიორგი წივწივაძე, დათო ფორაქიშვილი, ამირან ყიფიანი კარგი ბიჭები არიან.

**— იანვარში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში საქართველოს ნაკრების სახელით ბელარუსმა სერგეი კირილოვმა ითამაშა, მას აქ ჩამოსვლაზე რეკომენდაცია თქვენ გაუწიეთ, კირილოვზე რას გვეტყვით, კიდევ შეიძლება მისი გამოყენება?**

— მაკედონიაში აღარ თამაშობს, თავის სამშობლოში დაბრუნდა. იშვიათად ვეკონტაქტები და ინფორმაციაც ცოტა მაქვს მასზე. მწვრთნელებმა უნდა გადაწყვიტონ, დასჭირდებათ თუ არა. იანვარში კი არ ვიცი, სუსტად რატომ ითამაშა, ალბათ ნერვიულობდა. თან გუნდთან შეთამაშებულიც არ იყო. ჩამოვიდა თუ არა, მაშინვე თამაშებში ჩაერთო. ისე კი, მაკედონიაში ნორმალურ მოთამაშედ ითვლებოდა.

**— ნაკრებზეც ვთქვათ. დღევანდელი გადასახედიდან როგორ შეაფასებთ განვლილ „ჩელენჯტროფის" თამაშებს და ლუქსემბურგთან ფინალური შეხვედრის შანსებს?**

— მთავარი რაც გახლდათ, დასახულ მიზანს მივაღწიეთ და ფინალში გავედით. გუნდში შესანიშნავი ატმოსფერო იყო. ყველამ იცოდა საკუთარი ადგილი და მოვალეობა, ნაკრების პრობლემად შეუთამაშებლობას ვთვლი, ცოტა დრო გვქონდა. ზოგმა სულაც შეკრებაზე გაიცნო ერთმანეთი. ასე არ ხდება, წარმატებისთვის საჭიროა, ბირთვი 2 წელი მაინც იყოს ერთად. ლუქსემბურგთან კი მხოლოდ მოსაგებად ვიბრძოლებთ, პრინციპში უკან დასახევი გზა მოჭრილი გვაქვს. მნიშვნელოვანია, როგორ მოვემზადებით ფინალისთვის. ეს წარმატების უმთავრესი პირობაა.

**— დეკემბრის ბოლოს ნაკრებს თურქეთში სამი ამხანაგური თამაში უწევს, მოახერხებთ ამ დროისთვის ჩამოსვლას?**

— მაკედონიის ჩემპიონატში წლეულს ბოლო თამაში დეკემბრის შუა რიცხვებში მაქვს. ვფიქრობ, შევძლებ თბილისში ჩამოსვლას.

**ლევან მაისურაძე**

## ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი
## პირველი ტური. 9-11 ნოემბერი

**A ჯგუფი**

**ნიუპორტი 17:45 ლონდონ აირიში**

ნიუპორტი: 2ლ: ჯონსი, ოუენი; 2გ: სვენი; 1ს: სვენი;
ლონდონ აირიში: 6ლ: ერმიტაჟი (2), ქეთი, დე ვედია (2), კენედი; 6გ: ჰევატი; 1ს: ჰევატი

**ტრევიზო 17:29 პერპინიანი**

ტრევიზო: 1ლ: დე ჯაგერი, 4ს: გუსენი
პერპინიანი: 4ლ: ჩუოული, ლადჩუი, პლანტი, ვაკი; 3გ: დურანდი, როსალენი (2); 1ს: როსალენი

*ლონდონ აირიში 10, პერპინიანი 9, ნიუპორტი 1, ტრევიზო 0*

**B ჯგუფი**

**გლოსტერი 26:18 ოსპი**

გლოსტერი: 2ლ: ალენი, სიმპსონ-დანიელი; 2გ: ლემბი, პატერსონი; 4ს: ლემბი (3), პატერსონი
ოსპი: 2ლ: პარკერი; 1გ: ჰუკი; 2ს: ჰუკი

**ბურგუენი 24:17 ალსტერი**

ბურგუენი: 2ლ: კოჭსი, ტჩოუგონგი; 1გ: ბოიეტი; 4ს: ბოიეტი
ალსტერი: 2ლ: დანიელი, დევსონი; 2გ: უოლესი; 1ს: უოლესი

*გლოსტერი 9, ბურგუენი 5, ოსპი 4, ალსტერი 1*

**C ჯგუფი**

**ჰარლიქვინსი 13:13 კარდიფი**

ჰარლიქვინსი: 1ლ: ესთერი; 1გ: მალონე; 2ს: მალონე
კარდიფი: 1ლ: სფაისი; 1გ: ბლეირი; 2ს: ბლეირი

**ბრისტოლი 17:0 სტად ფრანსე**

ბრისტოლი: 1ლ: ბრევი; 4ს: პილი

*კარდიფი 7, სტად ფრანსე 5, ბრისტოლი 4, ჰარლიქვინსი 2*

**D ჯგუფი**

**ბიარიცი 22:21 სარასენსი**

ბიარიცი: 1ლ: ბიდაბი; 1გ: იაშვილი; 5ს: იაშვილი
სარასენსი: 3ლ: ფარელი, პინეი, რატუვოუ; 3გ: ჯეკსონი

**გლაზგო 41:31 ვიადანა**

გლაზგო: 5 ლ: ბარკლაი, მორისონი, ოპეა, პარკსი, პინდერი; 5გ: პარკსი; 2ს: პარკსი
ვიადანა: 4ლ: ბირჩელი, ბორტოლუსი, პედერსენი (2); 4გ: ჰოვარდი; 1ს: ჰოვარდი

*ბიარიცი 8, გლაზგო 6, სარასენსი 6, ვიადანა 1*

**E ჯგუფი**

**სკარლეტზი 17:33 ვოფსი**

სკარლეტზი: 2ლ: ესთერბი, ჯონსი; 2გ: ჯონსი; 1ს: ჯონსი
ვოფსი: 5ლ: ჩიპრიანი, ბორტოლუსი, პედერსენი (2); 4გ: ჰოვარდი, 1ს: ჰოვარდი

**მანსტერი 36:13 კლერმონი**

მანსტერი: 5ლ: ქარნეი, ჰორანი, პეინე, კუინლანი, ტიპოკი; 4გ: ოჰარა
კლერმონი: მალზუე, ესთერუიზენი, ჯოუბერტი, ჩეინალი, დელასაუ, ბაი, პიცი; ბომარშალი (კაპ), ეტიენი, ალექსანდრე, ვაიგუროქსი, სამსონი, ზირაქაშვილი, სმიტი, შველიძე
1ლ: ჯოუბერტი; 1გ: ბაი; 2ს: ბაი

*ვოფსი 9, მანსტერი 6, კლერმონი 5, სკარლეტზი 0*

**F ჯგუფი**

**ლესტერი 39:0 ედინბურგი**

ლესტერი: 4ლ: ქორი, გუდი, მერფი, ვარნდელი; 4გ: გუდი; 2ს: გუდი

**ტულუზი 33:6 ლენსტერი**

ტულუზი: 4ლ: კლერკი, კოურენტი, ეიმანსი, პუატრენო; 2გ: კოდრენტი, 2ს: კოურენტი, ელისალდე; 1ს: კოურენტი
ლენსტერი: 2ს: კონტეპომი

## კავშირმა გრაფიკი შეცვალა

**გუშინ** „შევარდენის“ სტადიონზე საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მცირე ფინალი უნდა გამართულიყო „ყოჩებსა“ და „ლიგამუსს“ შორის, მაგრამ მოედანზე მისულებს გვითხრეს, რომ მატჩი ხვალ ოთხის ნახევრისთვის გადაიდო.

უმალ რაგბის კავშირს მივმართეთ მიზეზთა გასაგებად, სადაც გვითხრეს, რომ საქართველოსა და პორტუგალიას შორის გადადებული თამაშის გამო ფორსმაჟორული სიტუაცია შეიქმნა, რამაც პლეი ოფების თამაშების განრიგზეც იმოქმედა და წინასწარ შედგენილი გრაფიკი დაარღვია. გადადებული მატჩი „შევარდენის“ სტადიონზე დღეს გაიმართება.

# დიმიტრი იაშვილმა სარასენზი დახვრიტა
## კლერმონს ქართველებმაც ვერ უშველეს


AFP

**ჰაინეკენის** თასზე მეორე ტურის მატჩები გაიმართა. ევროპის ელიტარული კლუბები თავდაუზოგავად ჯიჯგნიან ერთმანეთს და ამ ბრძოლებში ორი ქართველიც მონაწილეობს — გოდერძი შველიძე და დავით ზირაქაშვილი. გასულ ტურში ორივე მათგანი გუნდის ძირითადში გახლდათ და თანაც მსოფლიოს თასის ტრიუმფატორ ჯონ სმიტის მხარდახარ ამაგრებდნენ „კლერმონის“ შერკინებას. თუმცა „მანსტერთან“ ჯახში მათი ძალისხმევა ამაო გამოდგა.

„მანსტერმა“ პირველ ტურში განცდილი მარცხის შემდეგ დაიბრუნა ჯგუფიდან გასვლის შანსი, მაგრამ, მიუხედავად ანგარიშისა, ირლანდიელებს გამარჯვება მაინც დაძაბული ჯახის ფასად დაუჯდათ. „ქურციკების“ კაპიტნის დებიუტი, შეიძლება ითქვას, ჩავარდა. სმიტმა ვერც დერეფნების და ვერც მორკინალების სწორად ორგანიზება ვერ შეძლო. ამას ნახევარდაცვის გაუმართავი თამაშიც დაემატა. ფრანგების 9 და 10 ნომრებს არაფერი გამოსდიოდათ „მანსტერის“ ხისტი დაცვის წინააღმდეგ და შედეგად, მე-5 ქვეჯგუფში მესამე ადგილზე იმყოფებიან. ჯგუფის ლიდერმა, ლოურენს დალალიოს „ვოფსმა“ მაჩანჩალა „სკარლეტს“ სძლია და კიდევ უფრო გამაგრდა პირველ პოზიციაზე.

გასულ უქმეებზე გამართული ჯახებიდან ყველაზე გამორჩეული და ფატალური, ალბათ, ტომით ქართველი, დიმიტრი იაშვილის „ბიარიცისა“ და „სარასენზის“ შეხვედრა გამოდგა.

მართალია, „სარასენზმა“ სამი ლელო გაიტანა სტუმრად, მაგრამ მატჩში გადამწყვეტი იაშვილის მომაკვდინებელი ჯარიმები გამოდგა. შეხვედრაში ანგარიში დიმიტრიმ გახსნა, ამას მალევე ინგლისის ნაკრების ვარსკვლავ ენდი ფარელის ლელო მოჰყვა. იაშვილის კიდევ ერთი ჯარიმა და ისევ მასპინძლები გავიდნენ წინ. მთელი თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, რაც ანგარიშშიც აისახებოდა, ხოლო ჯახის კულმინაცია ბოლო წუთებზე შედგა, როცა იაშვილს ჯარიმა ჰქონდა დასარტყმელი, ხოლო მისი გუნდი 19:21 აგებდა. ფრანგ-ქართველი დამრტყმელი ამჯერადაც ზუსტი იყო. „ბიარიცმა“ ორი თამაშიდან ორივე საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში მოიგო და მეოთხე ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერია.

სენსაციური შედეგით დასრულდა „ბრისტოლისა“ და „სტად ფრანსეს“ მატჩი. საფრანგეთისა და არგენტინის ნაკრების მორაგბეებით დახუნძლულმა „სტად ფრანსემ“ ქულა ვერ გამოჰგლიჯა შედარებით მოკრძალებულ „ბრისტოლს“. ინგლისელთა კაპიტანმა შონ პერიმ შეტევაში ფრანგებისგან ქვა ქვაზე არ დატოვა და ჯგუფში პირველი გამარჯვებაც გამოჭედა.

დამაჯერებლად მოიგო მაიკლ ქეთის „ლონდონ აირიშმა“. ამჯერად ლონდონელებს ნიუპორტელი „დრაკონები“ შემოეჭამათ — 45:17.

ტურის დამამთავრებელ ჯახში „ტულუზმა“ ბრაიან ოდრისკოლის „ლენსტერი“ დასცა. ამ გუნდებს პირველი შეხვედრები მოგებული ჰქონდათ და მიმომხილველები, კლუბების შემადგენლობიდან გამომდინარე, კიდევ ერთ სუპერთრილერს მოელოდნენ. „ტულუზიდან“ კლემენ პუატრენო, ვინსენ კლერკი, ვენიკ ჟოზიონი, სედრიკ ემონი, ჟანბატისტ ელისალდე, ტიერი დუზატუა, ვენიკ ნიანგა, ფაბიენ პალუ, სათადარიგოებიდან — ახალზელანდიელი ტალანტი ბაირონ კელეჰერი და კიდევ რამდენიმე ვარსკვლავი დაუპირისპირდნენ გირვან დემპსის, ბრაიან ოდრისკოლის, შეინ ჰორგანის, ფილიპე კონტეპომის „ლენსტერს“. ამ გვარების წაკითხვის შემდეგ რაგბიში ჩახედულები ალბათ მიხვდებიან, რა დონის თამაში გაიმართებოდა საფრანგეთში. „ტულუზმა“ კლასით მაღალი მოთამაშეების სიმრავლით და დაცვაში ვენიკ ნიანგას ფანტასტიკური გარჯით ძირს დასცა ირლანდიის სიამაყე. ეს გუნდები ბოლო, მეექვსე ჯგუფში ილევიან. მეორე ადგილისთვის დაჭამენ ერთმანეთს „ლენსტერი“ და „ლესტერი“, ხოლო პირველ ადგილზე „ტულუზმა“ მყარად მოიკალათა და სავარაუდოდ, იქიდან ჩამოსვლას არ ინებებს.

**ზურაბ მიგრიაული**



# მარცხი ინერციით


ესტონელმა ბალტომ კოკაი დოჰიოს გარეთ გაისტუმრა

**ამოსავლეთის** მეთექვსმეტე მაეგაშირა ბალტი ნოემბრის ბაშოზე კვლავ ერთპიროვნული ლიდერის ფეხდაფეხ მდევარ სეკიტორთა ჯგუფის წევრია. თითქოს არაფერი ინფორმაციაა თუ არ დავამატებთ, რომ ამაში მას ქართველი კოკაის ძლევა დაეხმარა. აღმოსავლეთის მეცამეტე მაეგაშირა ლევან ცაგურიასთვის გუშინდელი მარცხი მეოთხე იყო ფუკუოკაზე ნაჭიდავებ ცხრა შეხვედრაში. შესაბამისად, დადებითი ბალანსი მინიმუმამდე შეუმცირდა.

ქართულ-ესტონური ბრძოლა „შავი ზღვის“ მძლავრი შეტევით დაიწყო და კოკაიმ საფირმო მიწოლით ბალტი დოჰიოს კიდესთან მიიმწყვდია, მაგრამ გადამწყვეტ შეტევას მეტოქე ოსტატურად დაუსხლტა და ჩვენებურმა დოჰიოს მიღმა ინერციით გადააბიჯა. ეს კი ესტონელის მეშვიდე ქულას ნიშნავდა.

შვიდ-შვიდი მოგებით ბალტის გვერდით დგანან იოკოძუნა ხაკუხო, ოძეკი კოტომიცუკი და რიგითი მაეგაშირები დეძიმა და ვაკანოსატო.

იმპერატორის თასის ოთხგზის ამწევმა ხაკუხომ გუშინ უმაღლესი დივიზიონის უდაბლეს სეკიტორს, 170-სანტიმეტრიან ტოინოსიმას აულო რევანში სექტემბრის ბაშოზე ნაწვნევი სირცხვილისთვის. კოტომიცუკიმ ტოინოსიმაზე ორიოდ სანტიმეტრით მაღალ „პატარა ტანკ“ ტაკეკაძეს აჯობა, 33 წლის ექსოძეკი დეძიმამ — 22 წლის მონღოლ კაკურიუს, ხოლო ექსსეკოვაკე ვაკანოსატომ — ის ხაკუროზანს. ცნობისთვის, ეს მარცხი ხაკუროზანისთვის ფუკუოკაში მეშვიდე იყო და საბოლოო დადებითი ბალანსისთვის მას დარჩენილი ექვსივე შეხვედრის მოგება სჭირდება.

ერთპიროვნული ლიდერი კი ისევ ოძეკი ტიოტაიკაია. ეს 31 წლის დევკაცი კარიერის მეექვსე იმპერატორის თასისთვის იბრძვის და გუშინ გზიდან დისკვალიფიცირებული იოკოძუნა ასასიორუს მეგობარი ასასეკირიუ ჩამოიცილა. ტიოტაიკაის ანგარიშზე რვა ქულაა.

მეათე ტური დღესაა და კოკაი 35 წლის ექსსეკივაკე ტამაკასუგასთან ეცდება დადებითი ბალანსის ისევ ორ ქულამდე აყვანას.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# კაცები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7180 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5735 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 4470 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2825 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2750 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 2530 |
| 7. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2005 |
| 8. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1930 |
| 9. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1775 |
| 10. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1765 |
| 11. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1755 |
| 12. ტომი ჰაასი (გერმანია) | 1720 |
| 13. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1710 |
| 14. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1685 |
| 15. გილერმო კანასი (არგენტინა) | 1653 |
| 16. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1600 |
| 17. კარლოს მოია (ესპანეთი) | 1585 |
| 18. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1580 |
| 19. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1570 |
| 20. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 1425 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1436 |
| 2. როჯერ ფედერერი (ესპანეთი) | 1147 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 894 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 565 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 550 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 506 |
| 7. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 401 |
| 8. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 386 |
| 9. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 355 |
| 10. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 353 |
| 11. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 351 |
| 12. ტომი ჰაასი (გერმანია) | 344 |
| 13. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 342 |
| 14. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 337 |
| 15. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 320 |
| 16. კარლოს მოია (ესპანეთი) | 317 |
| 17. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 316 |
| 18. გილერმო კანასი (არგენტინა) | 314 |
| 19. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 314 |
| 20. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 285 |

## ფულადი მოგებები

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 10 130 620 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5 646 935 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 3 927 700 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2 051 775 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1 955 252 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 1 532 070 |
| 7. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1 437 130 |
| 8. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1 284 790 |
| 9. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1 230 465 |
| 10. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1 126 070 |
| 11. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1 028 900 |
| 12. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1 027 147 |
| 13. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 987 765 |
| 14. ტომი ჰაასი (გერმანია) | 974 350 |
| 15. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 966 585 |
| 16. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 963 445 |
| 17. გილერმო კანასი (არგენტინა) | 919 940 |
| 18. მაიკ ბრიანი (აშშ) | 894 035 |
| 19. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 890 330 |
| 20. ბობ ბრიანი (აშშ) | 890 210 |



# ფედერერი და კიდევ 33 გამარჯვებული

**კვირას** შანხაიში დამთავრებული „მასტერსის თასით" ფაქტობრივად გასრულდა 2008 წლის საჩოგბურთო სეზონი. ITF-ის ეგიდით გასამართ ტურნირებს თუ არ ჩავთვლით, საჩოგბურთო კალენდარში დევისის თასის ფინალიღა დარჩა, რომელიც 30 ნოემბრიდან 2 დეკემბრის ჩათვლით ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდება და იანკები რუსებს უმასპინძლებენ.

2007 წლის კალენდარში, სლემტურნირების ჩათვლით, 66 შეჯიბრი იყო. ამათგან 30 ჰარდზე ჩატარდა, 24 თიხნარზე და ექვს-ექვსი კი ხალიჩასა და ბალახზე. ამ 66 ტურნირს ჯამში 34 გამარჯვებული ჰყავდა. ყველაზე მეტი — 8 ტიტული, რაც გასაკვირია და შეუდარებელმა როჯერ ფედერერმა მოიპოვა. გენიალურ შვეიცარიელს, შესაბამისად ექვსი და ხუთი ტიტულით, კვალში რაფაელ ნადალი და ნოვაკ ჯოკოვიჩი უდგანან, ხოლო 2007 წლის ტრიუმფატორთა სრული სია ასე გამოიყურება:

როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — 8.

რაფაელ ნადალი (ესპანეთი) — 6.

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) — 5.

დავიდ ფერერი (ესპანეთი), ივო კარლოვიჩი (ხორვატია), ხუან მონაკო (არგენტინა) — 3-3.

ქსავიე მალისი (ბელგია), ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია), ჯეიმს ბლეიკი (აშშ), ენდი მიურეი (ბრიტანეთი), ჟილ სიმონი (საფრანგეთი), პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი), ენდი როდიკი (აშშ), დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი), ტომი რობრედო (ესპანეთი), დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) — 2-2.

ლუის ჰორნა (პერუ), მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი), გილერმო კანასი (არგენტინა), მიხაილ იუჟნი (რუსეთი), ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია), ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა), ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი), ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია), ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი), ფაბრის სანტორო (საფრანგეთი), სტივ დარცისი (ჰოლანდია), რადეკ შტეფანეკი (საფრანგეთი), კარლოს მოია (ესპანეთი), ფერნანდო გონსალესი (ჩილე), რიშარ გასკე (საფრანგეთი), ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი), სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი), ტომი ჰაასი (გერმანია).

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**ცოტაც** და ოდესღაც რეიტინგის 42-ე საფეხურზე მყოფი ირაკლი ლაბაძე ATP-ის კლასიფიკაციიდან ამოვარდება. წლეულს უთამაშებელ ქართველს ერთი სარეიტინგო ქულაღა დარჩა და მან კიდევ 88 ნაბიჯით უკან, 1461-ე პოზიციაზე დაიხია.

ორშაბათს გამოქვეყნებულ ახალ რეიტინგებში ჯერაც 15 ჩვენებურია — ხუთი კაცი და ათი ქალი. ამათგან, ლაბაძეს თუ არ ჩავთვლით, ბოლო ერთ კვირაში მნიშვნელოვანი ცვლილება არავის განუცდია.

| კაცები | |
|---|---|
| 355(0) ლადო ჩიხლაძე | 94 |
| 1252(+2) ნოდარ ითონიშვილი | 3 |
| 1461(-88) ირაკლი ლაბაძე | 1 |
| 1461(0) გიორგი ხრიკაძე | 1 |
| 1461(0) გიორგი ჭანტურია | 1 |
| **ქალები** | |
| 168(-3) მაკა ჩახნაშვილი | 189,5 |
| 273(+5) ანა ტატიშვილი | 92,0 |
| 402(+6) სოფო შაფათავა | 46,0 |
| 514(+5) თინა ყაელაშვილი | 31,0 |
| 587(-11) სალომე დევიძე | 22,0 |
| 625(+11) მანანა შაფაქიძე | 19,0 |
| 639(-29) ოქსანა კალაშნიკოვა | 18,0 |
| 736(+5) სოფო ქვაცაბაია | 13,0 |
| 797(+13) ეკა გორგოძე | 10,0 |
| 844(-20) სოფო მელიქიშვილი | 9,0 |

# სამნი ბარსელონაში

**ბარსელონაში** ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ქალთა 10-ათასიანი ტურნირი ტარდება და ამ შეჯიბრის განაცხადში სამი ქართველიც იყო. ამათგან, მანანა შაფაქიძე პირდაპირ ძირითად ბადეში მოხვდა და პირველ წრეში კვალიფიკაციიდან წამოსულ მეტოქეს შეხვდება, ხოლო სოფო ქვაცაბაია და მაგდა ოქრუაშვილი სწორედ კვალიფიკაციიდან ცდილობდნენ ძირითად ბადეში შეღწევას.

ოქრუაშვილმა ამის გაკეთება ვერ მოახერხა — კვალიფიკანტთა შორის მე-15 ნომრად განთესილმა 17 წლისა და რეიტინგში 1013-ე ადგილზე მყოფმა ბულგარელმა ევგენია იორდანოვამ ქართველს 6:3 6:4 მოუგო. აი, ქვაცაბაიამ კი, რომელმაც წინ კვირაში მალიორკულ თიხნარზე ასევე კვალიფიკაციიდან დაიწყო და ძირითადი ტურნირის მეოთხედფინალს უწია, ამჯერადაც წარმატებული სტარტი აიღო. სოფომ ჯერ 16 წლის ურეიტინგო ესპანელი კარლა ტორენს-მენგუალი გაანადგურა 6:1 6:0, შემდეგ კი მეორე ესპანელს, ასევე 16 წლისა და რეიტინგში 1076-ე ადგილზე მყოფ ლუცია კარვერა-ვასკესს 6:1 6:2 სძლია. მესამე და გადამწყვეტ მატჩში ქვაცაბაია მესამე მასპინძელს, მარტა ესპიგადო-დელგადოს ხვდება, ვისაც მალიორკაშიც დაუპირისპირდა და ადვილადაც აჯობა




## ჭიდაობა



ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებს დავით ბედინაძეს და რამაზ ნოზაძეს წლეულს ბრწყინვალე სეზონი ჰქონდათ. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ორივე იმ ათეულში შეიყვანა, რომლიდანაც 1 დეკემბერს 2007 წლის მსოფლიოს საუკეთესო მოჭიდავე უნდა აირჩეს.

საუკეთესო გულშემატკივართა ხმებით გამოვლინდება. ბედინაძემ და ნოზაძემ თავიანთი საქმე უკვე გააკეთეს. ახლა ჩვენი ჯერია.

**www.allsport.ru**
**www.wrestrus.ru**



## მიმდინარე შედეგები

| | |
|---|---|
| ფარიდ მანსუროვი (აზერბაიჯანი) | 4227 |
| ალექსეი მიშინი (რუსეთი) | 4039 |
| სორიან რეიჰანპური (ირანი) | 2328 |
| ხასან ბაროევი (რუსეთი) | 698 |
| რამაზ ნოზაძე (საქართველო) | 331 |
| დავით ბედინაძე (საქართველო) | 121 |
| მიგელ ლოპესი (კუბა) | 112 |
| იავორ იანაკიევი (ბულგარეთი) | 68 |
| ნიკოლაი გერგოვი (ბულგარეთი) | 48 |
| იან ჩოი პარკი (სამხ. კორეა) | 12 |

ჭადრაკი

# მიხაილ ტალის მემორიალი მოსკოვი. რუსეთი. 9-23 ნოემბერი

VIII ტური

| | | |
|---|---|---|
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 1:0 | შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0,5:0,5 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |
| ევგენი ალექსეევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | დმიტრი იაკოვენკო (რუსეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| გატა კამსკი (აშშ) | 0,5:0,5 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |

## კრამნიკმა ტალი გაიფორმა

ვლადიმირ კრამნიკმა მერვე ტურში შაჰრიარ მამედიაროვს თეთრებით მოუგო და ტურნირის გამარჯვებულიც გახდა. მსოფლიოს ექსჩემპიონმა 6 ქულა დააგროვა, მეორე ადგილზე მყოფ ალექსეი შიროვს 1,5 ქულით გადაუსწრო და ყველასათვის მიუწვდომელი შეიქნა.

ამჯერად რუსმა თავის ჩვეულებას უღალატა, კატალონიური დასაწყისი დაივიწყა და აზერბაიჯანელს ინდური დაცვა შესთავაზა. კრამნიკმა ცენტრში სამი პაიკი განალაგა, გვერდით მხედრები ამოუყენა და მარჯვნიდან შეუტია. მამედიაროვმა გაცვლებს მიმართა, თეთრებს ყველა მხრიდან დაარტყა და მე-17 სვლაზე პაიკით დაწინაურდა. კრამნიკმა წონასწორობა 15 სვლაში აღადგინა, მანევრირებას მიმართა და 42-ე სვლაზე გაიმარჯვა.

შიროვი ბორის გელფანდს შეხვდა და პირველობისთვის აუცილებლად მოგება სჭირდებოდა, თუმც ებრაელის წინააღმდეგობა ვერ გატეხა, 43-ე სვლაზე დაუზავდა და ახლა მეორე ადგილისთვის ბრძოლა მოუწევს.

**ლუბა გეგეჭკორი**

### სატურნირო ვითარება

| | |
|---|---|
| 1. ვლადიმირ კრამნიკი — 6 | 6. დმიტრი იაკოვენკო — 4 |
| 2. ალექსეი შიროვი — 4,5 | 7. შაჰრიარ მამედიაროვი — 3,5 |
| 3. მაგნუს კარლსენი — 4 | 8. ვასილ ივანჩუკი — 3,5 |
| 4. ბორის გელფანდი — 4 | 9. გატა კამსკი — 3,5 |
| 5. პეტერ ლეკო — 4 | 10. ევგენი ალექსეევი — 3 |

ჰოკეი

# რეგულარული ჩემპიონატი

18 ნოემბერი

**კოლუმბუსი 4:5 დეტროიტი**

*1:2 2:1 1:1 0:0 (0:1 ბულიტებით)*

1:0 ვესტკოტი (11), 1:1 ლიდსტრომი (15), 1:2 ჰოლმსტრომი (16), 2:2 ფიოდოროვი (21), 2:3 ლებდა (22), 3:3 ნეში (35), 4:3 ჟერდევი (54), 4:4 დაციუკი (56)

**მინესოტა 4:1 კოლორადო**

*1:0 3:1 0:0*

1:0 ვოროსი (16), 2:0 ფოი (24), 3:0 ვეიე (36), 3:1 ჰეიდუკი (36), 4:1 ბარნსი (38)

**ვანკუვერი 4:1 კალგარი**

*1:1 2:0 1:0*

1:0 ჰ. სედინი (3), 1:1 ოკუანი (5), 2:1 მიტჩელი (30), 3:1 ნესლუნდი (38), 4:1 იზბისტერი (46)

# ესეც 500!

## ბროდო რუას კვალში ჩაუდგა



**ამ** უქმეებზე „ნიუ ჯერსიმ“ „ფილადელფია“ გასვლაზე გაანადგურა, „ეშმაკების“ სუპერკიპერმა მარტინ ბროდომ კი კარიერაში მე-500 გამარჯვება მოიპოვა. ნჰლ-ის ისტორიაში აქამდე ამ მაჩვენებელს მხოლოდ ერთმა დიდმა კაცმა, პატრიკ რუამ უწია — „წმინდა პატრიკი“ საბოლოოდ 551 მოგებაზე გაჩერდა.

ბროდო არ მალავს, რომ რუას გადასწრებას გეგმავს:

„თავს საკმარისად ჯანმრთელად ვგრძნობ საიმისოდ, რომ კიდევ მინიმუმ სამი-ოთხი წელი მაინც ვითამაშო. ჰოდა, ეს თუ შევძელი, მგონი, პატრიკს უნდა გადავასწრო. ოღონდ ნუ დამაწყებინებთ მარჩიელობას იმაზე, თუ რამდენი დამჭირდება ამის მისაღწევად“ — განუცხადა ჟურნალისტებს 35 წლის მეკარემ.

**ბაჩა ლომჯარიძე**

ავტორბოლა

სებასტიენ ლოები ირლანდიაში შეუდრეკელი იყო



# ლოები ლიდერია, ფორდი ჩემპიონი

## გრონჰოლმი სოლბერგის ბებიას არ იცნობდა

**ირლანდიის** ზეისტორიულ, პირველ სარალო ეტაპს შესაძლოა, ვადამდე გაერკვია მსოფლიოს ჩემპიონის ვინაობა. ფინელი მარკუს გრონჰოლმი ოთხი ქულით უსწრებდა სამგზის ჩემპიონ სებასტიენ ლოებს და ოკეანისპირა ქალაქ სლიგოს მახლობლად ასფალტიან გზებზე გამარჯვების შემთხვევაში, ისიც მესამედ მოიპოვებდა ტიტულს. მაგრამ საპენსიოდ გამზადებულმა სუომელმა ზედიზედ მეორე რბოლაში ავარიით ორი თვის წინანდელი ათქულიანი უპირატესობა არათუ გაფლანგა, სადღეისოდ უკვე თავად ჩამორჩება კონკურენტს ექვსი ქულით და ძნელი სავარაუდოა, ვითარების შემობრუნება შეძლოს. მით უმეტეს, ირლანდიაში პირველი დღის ინციდენტის შემდეგ.

გრონჰოლმსა და მის თანამემამულე-თანამძღოლ ტიმო რაუტიაინენს ფათერაკი სამდღიანი ბრძოლის დასაწყისში, მესამე გრძელ ჩქაროსნულ მონაკვეთზე შეემთხვათ. არცთუ რთულ მოსახვევში მარკუსს ნაწვიმარ ასფალტზე „ფორდი“ მოუსრიალდა და საშინელი ძალით მიახეთქა ლოდებიან დამცავ კედელს. დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ ძარა მძღოლის მხარეს მაგრად დაიჭეჭყა და ორივე ბორბალიც მოემტვრა, თავად მარკუსმა კი მცირე ხნით გრძნობა დაკარგა. ეკიპაჟი ჰოსპიტალში გააქანეს. საბედნიეროდ, მძიმე დაზიანება არ აღმოაჩნდათ და რამდენიმე საათში ორივემ კლინიკა დატოვა.

ეს სადებიუტო ეტაპი, რომლის დისტანციაც ორი ქვეყნის — ირლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ტერიტორიაზე გადიოდა, მეტად რთული გამოდგა. მოლიპულ, უვიწროეს გზებზე, სადაც ორი მანქანა ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლის, ბრძოლას ნისლიან-წვიმიან ამინდში 18 ეკიპაჟი გამოეთიშა.

მსოფლიოს ექსჩემპიონმა პეტერ სოლბერგმა მოსწრებულად იხუმრა, ამგვარ ამინდში და ასეთ გზებზე მანქანა ისე უნდა ატარო, როგორც ბებიაჩემმა, ძალიან ფრთხილადო. აქვე ვიტყვით, რომ პეტერის უფროს ძმას, ჰენინგს ახალი შტურმანი ჰყავდა — შვედი გუნარ ბერგსტენი, რადგან კატო მენკერუდის მეუღლე იმ დღეებში შვილს ელოდებოდა და მომავალი მამა ნორვეგიაში დარჩა.

ლიდერობა თავიდანვე ლოებმა იგდო ხელთ, მაგრამ მალე მის „სიტროენს“ ამორტიზატორი გაუტყდა და მცირე ხნით მეწინავეობა თანაგუნდელმა დანიელ სორდომ ჩამოართვა. სერვისპარკში სების შერემონტებულმა წითელმა „ბულამ“ მერე ისე გარეკა, რომ ახლოს აღარავინ გაიკარა, 19-დან ცხრა ჩქაროსნულ უბანზე იპირველა და სამგზის გვირგვინოსანმა ფრანგმა უზარმაზარი, თითქმის წუთიანი სხვაობით ჩამოიტოვა სორდო.

უნიკალური შემთხვევაა, რომ პირველი დღის შემდეგ დაწინაურებულ ექვსეულში დარჩენილ 160 კილომეტრზე ერთი ცვლილებაც არ მომხდარა.

აღსანიშნავია 22 წლის დებიუტანტი ფინელის იარი-მატი ლატვალას ოსტატური და დამაჯერებელი ჯირითი, რამაც პირველი საკარიერო პოდიუმი მოაპოვებინა. ოღონდ რაკი „ფორდის“ ძირითადი მძღოლი არაა, მისი ექვსი ქულა გუნდის მარაგს არ შეემატა, მეოთხე ადგილზე გასული კიდევ ერთი ფინელი ფორდელის, მიკო ჰირვონენის ხუთი ქულა კი საკმარისი აღმოჩნდა, რათა „ცისფერ ოვალს“ ზედიზედ მეორედ მოეგო კონსტრუქტორთა თასი, ანუ გუნდური პირველობა.

ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი ორი კვირის შემდეგ უელსში გაიმართება.

**გია ახალაძე**

### მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში

### XV ეტაპი. ირლანდია. 328,7 კმ

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | 3სთ; 01.39,2 |
| 2 | დანიელ სორდო (ესპანეთი, სიტროენი) | ჩამორჩა 53,4 |
| 3 | იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, ფორდი) | 1.48,2 |
| 4 | მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი) | 2.17,7 |
| 5 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 2.55,8 |
| 6 | გაი უილქსი (დიდი ბრიტანეთი, სუბარუ) | 5.57,9 |
| 7 | მეტიუ უილსონი (დიდი ბრიტანეთი, ფორდი) | 10.04,9 |
| 8 | გარეტ მაკჰეილი (ირლანდია, ფორდი) | 11.08,3 |

**საერთო ჩათვლა**

1 ლოები — ელენა 110 ქულა; 2 გრონჰოლმი — რაუტიაინენი (ფინეთი, ფორდი) 104; 3 ჰირვონენი — ლეჰტინენი 89; 4 სორდო — მარტი 61; 5 პეტერ სოლბერგი — მილსი 42; 6 ჰენინგ სოლბერგი — ბერგსტენი/მენკერუდი (ნორვეგია, ფორდი) 34; 7 ლატვალა — ანტილა 30; 8 ატკინსონი — პრევო/მაკნილი (ავსტრალია, სუბარუ) 29; 9 დიუვალი — პივატო (ბელგია, სიტროენი) 12; 10 შტოლი — მინორი (ავსტრია, სიტროენი) 12

**კონსტრუქტორთა თასი**

**ფორდი** 194 ქულა, სიტროენი 173, სტობარდ-ფორდი 80, სუბარუ 79, კრონოს-სიტროენი 43, მუნჩი-ფორდი 14


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნინო ხილაგაძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სლავა გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge